საერთო გაზეთი

№10 (421) • 22 მარტი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



სააკაშვილის „დესანტი“ საპატრიარქოში

რა გზა განვლო ტარას შავშიშვილმა „განათლების სინდიკატიდან“ პატრიარქის დაცვის სამსახურამდე?

ნიკოლოზ მჟავანაძე:

სტრასბურგის სასამართლომ ქვეყნის სუვერენიტეტი ხელყო, ჩვენ კი ამაზე ხმაც არ უნდა ამოვიღოთ, თურმე...

სოსო ცინცაძე:

როგორ შეიძლება ჩვენისთანა უღარიბესი ქვეყნის პარლამენტში 45 მილიონერი გვყავდეს?

სიკვდილი „პოსლეზე“

„ციანიდს ვეძებ „პოსლეზე“... ირაკლის ექნება მამალაძეს სადმე გადანახული, მაგრამ არ ვიცნობ და ვერ ვთხოვ, მეუხერხულება“...

როგორ შეიქმნა სკოტლანდ-იარდი

გიჟების მიერ მართული მსოფლიო და სერბეთის მაფია

სააკაშვილის „დესანტი“ საპატრიარქოში - რა გზა განვლო ტარას შავშიშვილმა „სინდიკატიდან“ პატრიარქის დაცვის სამსახურამდე?

წინა კვირას ემიგრაციაში მყოფმა ისტორიკოსმა ზურაბ დათუაშვილმა საკუთარი ფეისბუკის გვერდზე ასეთი შინაარსის პოსტი დაწერა: **„ეს რომ არ დავწერო, არ შემიძლია. ტარას შავშიშვილი, ალბათ, ყველას გახსოვთ, შაშკინის ხელის ბიჭი, უკანასკნელი ნაძირალა, რომელიც ნაცებისადმი ძაღლური ერთგულების გამო, 53-ე საჯარო სკოლის დირექტორად დანიშნეს. ისიც გეხსომებათ, თეა თუთბერიძემ ფარული ჩანაწერი რომ გაავრცელა, რომელშიც შავშიშვილი 14-ე სკოლის დირექტორს, გვარად მიმინოშვილს, აშანტაჟებდა და შაშკინის სახელით, გადადგომას აიძულებდა.**

ახალი ხელისუფლების პირობებში ტარასი გაათავისუფლეს და როგორ ფიქრობთ, სად ამოჰყო თავი? მისი ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა შეგვატყობინა, გასულ ზაფხულს საპატრიარქოში ვნახე რაციით ხელშიო. როგორც კი დამინახა, მაშინვე ამარიდა თავი და შენობაში დაიმალაო.

სოსო ოხანაშვილი

ამ მშობელს საპატრიარქოში ნაცნობები ჰყავს და მათთვის უკითხავს შავშიშვილი იქ ყოფნის მიზეზი. როგორც აღმოჩნდა, ეს უკანასკნელი პატრიარქის დაცვაში მსახურობს და მისი რეკომენდატორი დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი სოსო ოხანაშვილი ყოფილა...“

ზურაბ დათუაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვეჩვენა, რადგან ტარას შავშიშვილის საპატრიარქოში გამოჩენის შესახებ ზაფხულშივე შევიტყვეთ და ინფორმაციის გადასამოწმებლად, პატრიარქის დაცვის ყოფილ უფროსსაც დავუკავშირდით. მაშინ სოსო ოხანაშვილმა პატრიარქის დაცვაში ტარას შავშიშვილის მუშაობას სიცრუე და დეზინფორმაცია უწოდა. რამდენიმე დღის წინ კი 53-ე სკოლის სკანდალურად ცნობილი დირექტორის სახელმა ე.წ. ციანიდის საქმეში გაიჟღერა. დაკავებული დეკანოზის ადვოკატები „ციანიდის საქმეზე“ ტარას შავშიშვილის მოწმის სტატუსით დაკითხვის შესახებ ინფორმაციას ადასტურებენ, თუმცა, ამბობენ, რომ ფარულ ჩანაწერებში შავშიშვილი არ მონაწილეობს.

გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილი სკოლის დირექტორი მისი პერსონით გამოძიების დაინტერესებას დაკავებულ დეკანოზთან და სოსო ოხანაშვილთან მეგობრობას უკავშირებს: „ჩვენ ერთად ვმუშაობდით - მე, მამა გიორგი, სოსო ოხანაშვილი. გვქონდა სამსახურებრივი ურთიერთობაც და ისეც. ამ საქმესთან შემხებლობა არ მაქვს. ბევრი ადამიანი დაიკითხა, მათ შორის, საპატრიარქოდან. არ ვიცი, არსებობს თუ არა რაიმე ჩანაწერები და კომპრომატები ჩემ წინააღმდეგ.“

ბრალდების მთავარი მოწმე, ჟურნალისტი ირაკლი მამალაძე ფარულ ჩანაწერებში ტარას შავშიშვილის მონაწილეობას არც ადასტურებს და არც უარყოფს, თუმცა აღნიშნავს, რომ ვიდეოჩანაწერში ორზე მეტი პირი მონაწილეობს: **„ძალიან ბევრი ადამიანი გამოჩნდება საბოლოოდ. ეს დანაშაული უფრო შორს მიდის, ვიდრე დღეს საზოგადოებას ჰგონია. ერთ-ერთი ფიგურანტი ამ საქმისა, სტრატეგი, იყო და არის სოსო ოხანაშვილის, მამა გიორგი მამალაძის და ზოგადად ის პირები, ვინც ამ დაჯგუფებაში იყვნენ. ვსაუბრობ, ერთ-ერთ ფიგურანტზე, მათი ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე, რომელიც ჩემი ინფორმაციით და ჩემი შეხედულებით, იყო სტრატეგი ერთგვარი, ვინც სახავდა გარკვეულ სტრატეგიებს და გეგმავდა გარკვეულ მოქმედებებს. ამ ადამიანის ვინაობა ძალიან კარგად იყო ცნობილი "რუსთავი 2"-სთვის პირველივე დღეებიდან, მაგრამ რატომღაც ამ ადამიანის დასახელებისგან თავი შეიკავეს. იმ პოლიტიკურ ძალასთან ჰქონდა შეხება ამ ადამიანს, რომელიც არის "რუსთავი 2"-ის არაფორმალური მფლობელი. ძალიან საეჭვოდ მოხვდა ის საპატრიარქოში. არის საერო პირი, ძალიან განათლებული... სხვადასხვა წლებში რამდენიმე ქვეყანაში მას მიღებული აქვს განათლება, მათ შორის ვატიკანში“** — განაცხადა ირაკლი მამალაძემ.

ვის გულისხმობდა ჟურნალისტი განათლებულ სტრატეგში და ჰქონდა თუ არა 53-ე სკოლის დირექტორს საპატრიარქოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან რაიმე სახის კავშირი, გამოძიების დასადგენია, ჩვენი მკითხველისთვის კი უინტერესო არ უნდა იყოს იმის გახსენება, ვინ არის ტარას შავშიშვილი და რა გზა გაიარა საპატრიარქოში მოხვედრამდე.. მით უფრო, რომ საზოგადოების ნაწილს ტარას შავშიშვილი 53-ე სკოლის დირექტორობის დროინდელი „საგმირო საქმეებით“ ახსოვს და არ იცის, რომ დიმიტრი შაშკინის ფავორიტს სკოლის დირექტორობამდეც და შემდგომაც საკმაოდ ბობოქარი და საინტერესო ცხოვრება ჰქონდა.

2009 წელს, ნიკა გვარამიას საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი დაინიშნა. ახალ მინისტრსა და პედაგოგთა თავისუფალ პროფკავშირებს (სპმთპ) შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც პროფკავშირის ლიდერმა მანანა ღურჭუმელიძემ მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატების მიზნით, გაფიცვა გამოაცხადა. მასწავლებელთა ხელფასების გარდა, სპმთპ ხშირად აპროტესტებდა სკოლებიდან პედაგოგთა მასიურად გათავისუფლებას, სოციალურ დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, პრეტენზიები ჰქონდა საკვალიფიკაციო გამოცდებთან, რომლებიც პედაგოგის დიპლომს ეჭვქვეშ აყენებდა, ითხოვდა განათლების სამინისტროსთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებას და ა.შ. დიმიტრი შაშკინმა დაუმორჩილებელ პროფკავშირებს თავისი მეგობარი და ფავორიტი ტარას შავშიშვილი დაუპირისპირა. 2008 წელს ხელისუფლების „კურთხევით“ პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების დაშლისა და განეიტრალების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლების პროფესიული სინდიკატი“ ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის დამფუძნებლებად ტარას შავშიშვილი და მისი მეგობარი მარიამ რამინაშვილი მოგვევლინენ. „სინდიკატმა“, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათ შორის, „განათლების ინტერნაციონალის“ მიერ პროფესიულ კავშირად არასოდეს ყოფილა აღიარებული, გადამწყვეტი როლი შეასრულა პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების წინააღმდეგ ბრძოლაში. შაშკინის სამინისტრო სკოლის დირექტორებს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მეშვეობით აიძულებდა პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირები დაეტოვებინათ და სინდიკატში გაწევრიანებულიყვნენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი პროფესიული კავშირისთვის ფინანსური წყაროების გადაკეტვის პარალელურად, მედიასაშუალებებში პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირებისა და მისი ლიდერის დისკრედიტაციის კამპანია გაჩაღდა. საბოლოოდ, განათლების მინისტრსა და მის ფავორიტებთან უთანასწორო ბრძოლა სპმთპ პრეზიდენტის საქართველოდან წასვლით დასრულდა. 2010 წლის 23 სექტემბერს მანანა ღურჭუმელიძემ კანადის სასამართლოს პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართა. საქმის განხილვის შემდეგ, რაც ორ წელიწადს გაგრძელდა, კანადის ხელისუფლებამ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

მამა გიორგი (მამალაძე)

ტარას შავშიშვილი

რაც შეეხება ტარას შავშიშვილს, მას ხელისუფლებამ ღვაწლი დაუფასა და თბილისის პრესტიჟულ რაიონში მდებარე, 53-ე სკოლის დირექტორად დანიშნა.თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთ კვირაში, შავშიშვილმა უფროსკლასელთა მშობლების გაერთიანებული კრება ჩაატარა, სადაც სკოლაში წესრიგის დამყარებასა და დისციპლინის გამკაცრებაზე ილაპარაკა. პირველივე კვირას ახალმა დირექტორმა სკოლიდან 15 მასწავლებელი გაათავისუფლა და მოსწავლეების გარიცხვას შეუდგა. შავშიშვილისეული დისციპლინის ამოქმედებიდან უმოკლეს დროში, ორიათას მოსწავლიან სკოლაში ათასი ბავშვიც აღარ დარჩა. ვინც სკოლიდან გარიცხვას გადაურჩა, სხვა სკოლაში თავად გადავიდა. მე-11 კლასელმა მ-მ დირექტორის რისხვა სკოლიდან გარიცხული თანაკლასელის დაცვის გამო დაიმსახურა და იმავე დღეს, მისი ბედი გაიზიარა. ტარას შავშიშვილმა მოსწავლე მისთვის შეურაცხყოფის მიყენებაში დაადანაშაულა. „სკოლა არ არის ქუჩური გარჩევების ადგილი და წარსული არასოდეს განმეორდება“ - ასე განმარტა საკუთარი გადაწყვეტილება შაშკინის ფავორიტმა. 53 სკოლაში მომხდარ ინციდენტს მყისიერად გამოეხმაურა ქვეყნის პირველი პირი და სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეს ხულიგანი უწოდა. ამის შემდეგ 15 წლის მოზარდს მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი დაუპირისპირდა. მინისტრის შიშით, მ-ს სკოლაში მიღებაზე ყველა სკოლის დირექტორმა უარი განაცხადა, რითაც ისედაც მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესში მყოფი ბავშვის განათლების მიღების კონსტიტუციური უფლებაც დაირღვა.

2012 წელს 53 სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ტარას შავშიშვილი მისმა უახლოესმა მეგობარმა, თანამოაზრემ და 122-ე საჯარო სკოლის ყოფილმა დირექტორმა მარიამ რამინაშვილმა შეცვალა. 53-ე სკოლის მოსწავლეები შავშიშვილს მოკლე ვიდეორგოლით დაემშვიდობენ: საკლასო ოთახში შეკრებილი მოსწავლეები ყვებიან, როგორი ბედნიერებაა, როცა სკოლას ტარას შავშიშვილის მსგავსი ადამიანი მართავს, როგორი მეგობრული და კეთილი ადამიანია ტარასი, რა დაუვიწყარი იყო მასთან ერთად გატარებული დრო და ა.შ. ვიდეორგოლის ბოლოს, მთლიან კადრში ჩანს, რომ „ბედნიერი“ მოსწავლეები მუხლებზე დგანან და ნიღბიანი ადამიანები იარაღის მუქარით აიძულებენ დამაჯერებლად ილაპარაკონ.

53-ე სკოლიდან გათავისუფლების შემდეგ, დიმიტრი შაშკინის ფავორიტი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილედ მოგვევლინა, სადაც ტრენერის პოზიციაზე მუშაობდა მისი მეგობარი და 53-ე სკოლის დირექტორის პოსტზე შემცვლელი მარიამ რამინაშვილი. მასწავლებელთა გადამზადებას სწორედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებდა, რამაც შავშიშვილს საშუალება მისცა, ცოლის სახელზე გადაფორმებული „განათლების სინდიკატი“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. სკოლის დირექტორებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე მინისტრთან დაახლოებული პირი იყო და იძულებული იყვნენ, მისთვის ანგარიში გაეწიათ. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, შავშიშვილს სკოლებთან „სინდიკატის“ კუთხით ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული და ტრენინგების თანხას სკოლის ბიუჯეტიდან ახდევინებდა. იმავე წყაროს ინფორმაციით, ამ პერიოდში შავშიშვილის ორგანიზაციამ მილიონობით ლარი იშოვა.

შავშიშვილი-რამინაშვილის ტანდემმა „სინდიკატში“ ახალი წევრების მოზიდვა და ძველების შენარჩუნება მუქარისა და ძალადობის გზით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც გააგრძელა, თუმცა, ამჯერად ნაკლებად გაუმართლათ და განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე, ტარას შავშიშვილს და მარიამ რამინაშვილს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი დაატოვებინეს. ამის შემდეგ, ტარას შავშიშვილი დროებით გაუჩინარდა, სანამ მისი სახელი კიდევ ერთ სკანდალურ საქმეში გაჟღერდებოდა..

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა - რა ესაქმებოდა საპატრიარქოში და მით

4 გვ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სტრასბურგის სასამართლომ ქვეყნის სუვერენიტეტი ხელყო და კონსტიტუცია თავზე დაგვახია, ჩვენ კი ამაზე ხმაც არ უნდა ამოვიღოთ, თურმე...

როდემდე უნდა იაროს საქართველომ მოღალატე „ენჯეოშნიკების“ და ნანუაშვილისნაირი სულით მონების ჭკუაზე?

„ნებისმიერი კვალიფიციური, თავმოყვარე იურისტი, მათ შორის კონსტიტუციონალისტი გეტყვით, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო ქვეყნის სუვერენიტეტის ხელმყოფი გადაწყვეტილება. ჰკითხონ ჯონი ხეცურიანს, მინდია უგრეხელიძეს, სხვა სამეცნიერო პროფესურას და არა იმ ხალხს, რომელთაც სამართალთან არავითარი შეხება არ აქვთ, მაგრამ ყველა ტელეეთერიდან ისინი გვმოძღვრავენ“, აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე.

- ზოგიერთს ჰგონია, რომ თურმე შეიძლება შენი ქვეყნის ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ლანძღო, ლაფში ამოსვარო, შეუვარდე სალექციო ოთახში, დეენო თვითონ და მისი ოჯახის წევრები, ხოლო სტრასბურგის სასამართლოს მიმართ გაკეთებული რაღაც კრიტიკული შენიშვნა, თურმე ანათემაზე გადაცემის საშუალება უნდა გახდეს. განა რა აიღო ამისთანა შალიკო ნათელაშვილმა ნაციონალებისგან, რომ ამბობს ანგარიშები უნდა გავუყინოთ ბანკში იმ ხალხს, ვინც სტრასბურგის სასამართლოს გააკრიტიკებსო. პავლიკა მოროზოვივით მოქცევას ჯობია იმაზე იფიქროს, დუშეთშიც რომ აღარავინ აძლევს ხმას, სწორედ ასეთი განცხადებების შედეგია, არჩევნებზე „კარგ“ შედეგს რომ იღებს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მართლაც შოკის მომგვრელი იყო, ამ თემაზე ჟურნალისტებმა სამართლის სპეციალისტები ალაპარაკონ, ნაციონალებსა და მათ სატელიტების კი ნუ ეკითხებიან აზრს. თავდაპირველად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროებითი შეჩერება იყო გაუგონარი, ახლა თურმე მუდმივად რომ გაგრძელდეს, ასეთი რამ არავის გაუგია. უზენაესი სასამართლო ბოლო ინსტანციაა, მისი გადაწყვეტილება არ საჩივრდება, არ იცვლება გადაწყვეტილება და ჩემთვის გაუგებარია ევროსასამართლოს ლოგიკა აღსრულება შევაჩეროთო, როცა ის გადაწყვეტილებას ვერ ცვლის. ერთადერთი, რაც ევროსასამართლომ საქმის განხილვის შემდეგ შეიძლება გადაწყვეტილებად მიიღოს ისაა, რომ დაირღვა ევროკონვენციის შესაბამისი მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით და სახელმწიფოს დააკისროს კომპენსაცია. ის სახელმწიფოს ვერც იმას ეტყვის ახლიდან გამოიძიეთ, ხელახლა წარმართეთ საქმეო, მაშინ რაღას აჩერებ აღსრულებას, ამით ხომ ხელყოფ საკუთრების უფლებას?! 5-6 წლის შემდეგ, იქნებ საერთოდ აღარ უნდა ქიბარ ხალვაშს „რუსთავი-2“, რომელსაც ისედაც არ ჰქონდა კარგი რეპუტაცია და უკვე ბოლომდე შეელახა, არც ფინანსურად აქვს სახარბიელო მდგომარეობა. ერთი სიტყვით, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფა, საკუთრების უფლების ხელყოფა, ქვეყნის სუვერენიტეტი თავზე დაგვამხეს. ასეთ რაღაცას საქართველოს გარდა ვერცერთ ქვეყანას ვერ გაუბედავდნენ, უამრავი სარჩელი შედის ევროსასამართლოში სხვა ქვეყნებიდან, მათ მიმართ რატომ არ გამოაქვთ ასეთი გადაწყვეტილება? ხსენებული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ყველაზე დაჩაგრული ქვეყანა ვართ, რომელსაც ნებისმიერს შეუძლია პანღური ამოარტყას, აბუჩად აიგდოს, რადგან იციან, რომ არაფერს გავაპროტესტებთ და ყველა დირექტივას უსიტყვოდ შევასრულებთ, შეწინააღმდეგება თურმე რუსეთის გზით წასვლას ნიშნავს. პრეზიდენტმა პუტინმა ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომლის თანახმადაც თუკი ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს არ აღასრულოს ეს გადაწყვეტილება. რუსეთის გარდა, სხვა ბევრი ქვეყანაც არ აღასრულებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას თუ ის ხელყოფს ამ ქვეყანაში საკუთრების უფლებას და ქვეყნის სუვერენიტეტს. რომ ამბობენ, საქართველომ თუ არ შეასრულა ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, გარკვეული სანქციები დაგვეკისრებაო, ერთი რამ გვავიწყდება, ხალხი, ვინც საკუთრების უფლებაზე დაობს სასამართლოში, დაცული აღარ არის, საქართველოში პროცესს რომ მოიგებენ გარანტია არ აქვთ, რომ მოპასუხე მხარე ხვალზეგ სტრასბურგში არ გაასაჩივრებს და არ შეაჩერებინებს აღსრულებას. ირინა ენუქიძეს სიცოცხლეში არ აღირსა სტრასბურგმა გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაშიც სადისტურად მოკლული სანდრო გირგვლიანის სიცოცხლე 50.000 ევროდ შეაფასა, როცა გაცილებით მეტ თანხაზე იყო საუბარი. გავიხსენოთ სულხან მოლაშვილი, როგორ „ოპერატიულად“ იმოქმედა სტრასბურგმა ამ შემთხვევაშიც, შვიდი წელი გრძელდებოდა ტელეიმედის საქმე და დღემდე არ განხილულა, ისევე, როგორც საკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებული სხვა ადამიანების საჩივრები. როგორ არ უნდა შეგვეპაროს ეჭვი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებში, თუ იქ ნონა წოწორიასნაირი მოსამართლეები არიან. ეს ქალბატონი ადეიშვილისა და სააკაშვილის მარჯვენა ხელი იყო და დღესაც იგივე გრძელდება, ის თავის დროზე ამიტომ გაუშვეს სტრასბურგში, ახლაც იმიტომ ჩააგდეს ჩვენი მოსამართლეების კანდიდატურები რიგმა არასამთავრობოებმა, ნაციონალების აგენტურამ, რომ წოწორია ევროსასამართლოში უფლებამოსილება გახანგრძლივებოდა. აგერ მერაბიშვილის საქმის განხილვა მიმდინარეობს, სხვა „ნაცბოლების“ საქმეებიცაა, ამიტომ წოწორია უაღრესად „საჭირო“ კადრია. მე უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჩვენი თითქმის ყველა ადვოკატი, რომელიც ევროსასამართლოში გასაჩივრებას აპირებდა, უკვე ფიქრობენ, რომ ამას აზრი არ აქვს. სტრასბურგის სასამართლოს არავითარი ეფექტურობა არ აქვს, წლების განმავლობაში გრძელდება პროცესები, თუ ათი წელი გავიდა, რად მინდა ასეთი სამართალი, რეალობა იცვლება ხომ? ამიტომ სახელმწიფომ პირველ რიგში საკუთარი მოქალაქეები უნდა დაიცვას და არა მოღალატეების ჭკუაზე იაროს.

უჩა ნანუაშვილი

- რას გულისხმობთ?

- მოღალატე, ვიგინდარა ნაციონალებისა და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჭკუაზე დადის „ქართული ოცნების“ ზოგიერთი დეპუტატი, რახან ისინი გაჰკივიან, როგორ შეიძლება დასავლეთიდან მოსული დირექტივა არ შესრულდესო, უმრავლესობის ეს წარმომადგენლებიც იგივეს იმეორებენ, მათი გავლენის ქვეშ ექცევიან. ჯერ ერთი აქ არ არის არჩევანი, რომ საკუთრების უფლება სიტყვის თავისუფლებაზე მაღლა დავაყენოთ, ამიხსნან სად შეილახა სიტყვის თავისუფლება. საკუთრების უფლების პრიორიტეტულობა არ ნიშნავს, რომ სიტყვის თავისუფლებას ხელვყოფთ, ვინმემ ხელყო „რუსთავი-2“-თან მიმართებაში? არაფერში არ ირღვევა სიტყვის თავისუფლება. ხელისუფლებამ გარკვეული ზომები უნდა მიიღოს, რადგან, როგორც გითხარით აქ მარტო ქიბარ ხალვაშზე არ არის საუბარი, ევროსასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილებით, თითოეული ჩვენი მოქალაქე დაუცველად იგრძნობს თავს, ამიტომ პრეცედენტი არ უნდა იქნას დაშვებული, უნდა აღსრულდეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, შეჩერებას ერთადერთ შემთხვევაში ექნებოდა ლოგიკა, თუ ევროსასამართლო ამ გადაწყვეტილებას შეცვლიდა, გააუქმებდა, მას კი ამის უფლება არ აქვს. ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ ქვეყანაში მოღალატეების კასტა გვყავს, იუსტიციის მინისტრმა აღსრულების შეჩერების მიზეზები ასე აგვიხსნა, სტრასბურგში გაიგზავნა ამერიკის საელჩოს, არასამთავრობოთა ნაწილის და სახალხო დამცველად წოდებული მოღალატე ნანუაშვილის განცხადებებიო, ჩემი აზრით, აღარავის უნდა მიეცეს სახელმწიფო საქმეებში ხელების ფათურის უფლება ამერკის ელჩი იქნება ეს თუ სხვა. მოლდოვის პრეზიდენმა დოდანმა ახლახანს ლამის კედელთან მიაყენა ამერიკის და რუმინეთის ელჩები იმის გამო, რომ მათ უთხრეს, რატომ არ მონაწილეობს მოლდოვა რუმინეთში მიმდინარე ნატოს წვრთნებშიო. მოლდოვის პრეზიდენტმა მათ პირდაპირ უთხრა, თქვენ ვინ გეკითხებათ, ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ, თქვენი ქვეყნების საქმეებში ერევა რომელიმე ქვეყნის საელჩოო. იგივე გააკეთეს აზერბაიჯანის, ბელარუსის, სომხეთის პრეზიდენტებმა, ევროსტრუქტურებს მოსთხოვეს, ჩვენს საქმეებში ნუ ერევითო, ჩვენ რა უბედურება გვჭირს ვერ გავიგე. ჩვენ ეს მონური პოზიცია კომუნისტების პერიოდიდან მოგვდგამს, ერთადერთი ვასილ მჟავანაძე იყო, რომელიც დამოიკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა, დანარჩენები შევარდნაძის მეთაურობით ცდილობდნენ იმაზე მეტი გაეკეთებინათ, ვიდრე ამას კრემლი ითხოვდა. დღესაც დასავლეთი იმდენს არ ითხოვს ჩვენგან, რასაც ვაკეთებთ, ამიტომ არ უნდა გაგრძელდეს ეს ბოდიში მომითხოვია, შეტენვის პოლიტიკა, ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოებრივად უნდა იაზროვნოს და ალაგმოს უცხო ქვეყნების აგენტურა ამ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დამცველის სახით. ისრაელში, უნგრეთში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში მკაცრი რეგულაციებია მიღებული არასამთავრობო სექტორთან მიმართებაში, საქართველო რა გახდა? აბა, გაბედოს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და ისრაელის უშიშროების სამსახურს უთხრას, თქვენ არ უნდა აწარმოოთ მოსმენებიო, მაშინვე გააძევებენ ქვეყნიდან. ამ სულით მახინჯმა სალომე ასათიანმა ხალხის მიერ დაფინანსებული ტელევიზიის ეთერიდან ხელისუფლებას ბრალი დასდო, აჭარაში მუსლიმების უფლებებს არღვევსო, იგივე განცხადებას აკეთებს ერის გამყიდველი, ასევე სულით მახინჯი უჩა ნანუაშვილი. იცით ეს რას ნიშნავს? მე ყველას ვთხოვ წაიკითხოს სტამბოლისა და მოსკოვის ხელშეკრულებები, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო აჭარასთან დაკავშირებით, ამ ხელშეკრულებების თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს მუსლიმი მოსახლეობის აღმსარებლობის დაცვა. ამ დროს გამოდის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი, სახალხო დამცველი, სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტი და არასამთავრობოთა ნაწილი და აცხადებენ, მუსლიმების უფლებები იზღუდებაო. თურქეთის ხელისუფლება არ იტყვის, ჩვენ რა შუაში ვართ, აგერ თქვენი წარმომადგენლები საუბრობენ, რომ ჩემი ქვეყნის აღმსარებლობა იზღუდება, რატომ არღვევთ მუსლიმთა უფლებებსო. ამ დროს საინგილოში ქართული ეკლესიები დახურულია, იქაურ ქართველებს საეკლესიო დღესასწაულებზეც არ აძლევენ წირვა-ლოცვის უფლებას, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში სავალალო მდგომარეობაშია ქართული ეკლესია-მონასტრები, იქ ანაფორიანი ადამიანი რომ შევიდეს, შეიძლება დაიჭირონ კიდეც, ეს კი რატომღაც არ აღელვებთ ზემოჩამოთვლილ პერსონებს. აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის

ეკა გიგაური

4 ბ.

სააკაშვილის „დესანტი“ საპატრიარქოში...

2 გვ.

უფრო, პატრიარქის პირად დაცვაში ასეთი წარსულის მქონე ადამიანს, რომელზეც სხვადასხვა დროს, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული? ამის შესახებ საკუთარი პოზიციის გაზიარება აჟამად კანადაში მცხოვრებ ემიგრანტს, საქართველოს პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების ყოფილ პრეზიდენტს და ევროპის მასწავლებელთა პროფკავშირების ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს მანანა ღურჭუმელიძეს ვთხოვეთ:

მანანა ღურჭუმელიძე

— როცა ტარას შავშიშვილის საპატრიარქოში მუშაობის შესახებ გავიგე, თავზარი დამეცა, რადგან ზუსტად ვიცი, რომ სადაც ეს ადამიანი გამოჩნდა, ყველგან ქაოსი და არეულობა შეიტანა. ამიტომ ვფიქრობ, რომ საზოგადოებამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რასთან აქვთ საქმე. შეგახსენებთ, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ ტარას შავშიშვილი განათლების სამინისტროში მუშაობდა. რევოლუციის შემდეგ, როცა განათლების მინისტრი კახა ლომაია გახდა, შავშიშვილი სამსახურიდან გაათავისუფლა. ისიც ადგა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნა,რომ მარიამ რამინაშვილთან ერთად, რომელიც საკაშვილს საპარლამენტო სიაში ჰყავდა შეყვანილი, განათლების სისტემა თაღლითურად ეძარცვა. ამ ტანდემის ავტორობით დაისტამბა ე.წ. ყვითელი პორტფოლიოები, რომლებსაც მასწავლებლებზე იძულების წესით ასაღებდნენ. რა თქმა უნდა, ამის უკან ტარას შავშიშვილი და რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებთან მისი „საქმიანი“ ურთიერთობა იდგა. მას შემდეგ, რაც პორტფოლიოებით დიდძალი ფული იშოვა, შავშიშვილმა მასწავლებლებისთვის ტრენინგების შეთავაზება დაიწყო და ჩემთან კონტაქტზე გამოვიდა.

— თანამშრომლობა შემოგთავაზათ?

— მითხრა, რომ მომზადებული ჰქონდა პროექტი და პროგრამა, რომლის საშუალებითაც, მასწავლებლებს მათივე ფულით გადაამზადებდა. ისიც მითხრა, რომ თუ ამ საქმიანობაში ხელს არ შევუშლიდი, რესურს-ცენტრების უფროსების მსგავსად, „წილში ჩამსვამდა“, თუმცა, რა თქმა უნდა, უარი მიიღო. ამის შემდეგ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სენაკის სკოლებში მასწავლებლებს ტრენინგებში ფული იძულების წესით გადაახდევინა. მე ფაქტი გავახმოვანე და დავუპირისპირდი, მაგრამ ამ დროისთვის, განათლების სამინისტროში დიმიტრი შაშკინი მოვიდა, რომელმაც ტარას შავშიშვილი და მისი „სინდიკატი“ ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ ომში გამოიყენა.

— იქნებ აგვიხსნათ, რატომ გახდით დიმიტრი შაშკინისთვის და მთლიანად, იმდროინდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი?

— გია ნოდიას მინისტრობის პერიოდში, განათლების სამინისტროს, პრეზიდენტის კანცელარიის თუ სხვა უწყებების რეიტინგის დასადგენად, რესურს-ცენტრების, სამეურვეო საბჭოების და სკოლის დირექტორების გამოკითხვა ჩატარდა. ამ გამოკითხვაში პრობლემების გადაჭრისადა მოგვარების კუთხით, ყველაზე მაღალი შეფასება ჩვენმა ორგანიზაციამ დაიმსახურა. შეგახსენებთ, ეს ის პერიოდია, როცა მე ევროპის მასწავლებელთა პროფკავშირების ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს, როცა ჩვენი ორგანიზაციის გაზეთი 100 000-იანი ტირაჟით გამოდის და ყველა მასწავლებელთან უფასოდ მიდის. ეს ის პერიოდია, როცა კაბალური შრომის კოდექსში ცვლილების შეტანისთვის უპრეცედენტო რაოდენობის ხელმოწერები შევაგროვეთ და ა.შ. ფაქტობრივად, საკაშვილის ხელისუფლებას ჩვენი ორგანიზაცია უკვე „ყელში ჰქონდა გაჩხერილი“ , ამიტომ შაშკინს მისი განადგურება დაავალა. შაშკინმა კი ამ პროცესში ძალიან კარგად გამოიყენა ტარას შავშიშვილი, რომელიც მისი მინისტრობის დროს, ფაქტობრივად, სამინისტროს რუხი კარდინალი ბრძანდებოდა. ტარასის გარდა, შაშკინმა საქმეში ჩართო თეა თუთბერიძე და მასწავლებელთა პროფკავშირების წინააღმდეგ ბრძოლა ერთიანი ფრონტით გააჩაღეს. მოგეხსენებათ, მე ვიყავი ერთ-ერთი კომისიის წევრი, რომელიც სატრენინგო კურსებს აკრედიტაციას აძლევდა. რა თქმა უნდა, ტარასის კომისიაზე განაცხადი ჰქონდა შემოტანილი და რაც ყველაზე საინტერესო იყო, ორგანიზაციის მისამართად მითითებული ჰქონდა 122-ე ანუ ის სკოლა, რომლის დირექტორიც მარიამ რამინაშვილი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ამას კანონი კრძალავდა, სამინისტრომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ტარას შავშიშვილის ბევრ პროგრამას გაევლო აკრედიტაცია და ბევრი მასწავლებელი გადაეშზადებინა. ფაქტობრივად, ბიუჯეტიდან მასწავლებელთა გადამზადებისთვის გამოყოფილი 6 მილიონი ლარი ძირითადად, ტარას შავშიშვილის „სინდიკატისკენ“ წავიდა. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ შაშკინი ამ ფულს თავისი ჯიბის ფულივით იყენებდა, ფაქტია, რომ ბატონი ტარასი სერიოზულად იყო დავალებული მინისტრისგან და ყველაფერს გააკეთებდა, რომ ხელისუფლებისთვის არასასურველი მასწავლებელთა პროფკავშირები გაენადგურებინა.

— როგორც მახსოვს, ტარას შავშიშვილის მიმართ რამდენჯერმე იყო სისხლის სამართლის საქმე აღძრული, მაგრამ არც ერთხელ, საქმე ბოლომდე არ მისულა..

— როგორ მივიდოდა? 2008 წელს, როცა მიხეილ საკაშვილი წყნეთის სასწავლო ბაზაზე გვესტუმრა, მე მას რამდენიმე ფაქტი დავუდე, თუ როგორ ცდილობდნენ ჩვენი ორგანიზაციის დაშანტაჟებას. ვუთხარი, რომ ჩემს მანქანას ორჯერ გაუფუჭეს სამუხრუჭე სისტემა და ავარიას შემთხვევით გადავურჩი. მეორედ, დაუდგენელმა პირებმა ტელეკომპანია „იმედის“ სახელით, დაფარული ნომრიდან დამირეკეს და აღმაშენებლის ძეგლთან მისვლა მთხოვეს. ინფორმაცია გადავამოწმე და გავარკვიე, რომ „იმედიდან“ ჩემთან არავის დაურეკავს. საკაშვილს გაეცინა და თქვა, ალბათ არ იციან, რომ მანანა ღურჭუმელიძის შეშინება შეუძლებელიაო. ამის შემდეგ, მე მას „სინდიკატის“ საქმიანობის შესახებ ვუამბე და ვკითხე, ვინ არიან ეს თაღლითები თქო. ალბათ, ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა სტრატეგიით უნდა ემოქმედათ. ტარას შავშიშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით, იქნებდა ეს ბიუჯეტის ფულში ხელის ფათური თუ სხვა, პროკურატურას მივმართე და რამდენჯერმე, დავით საყვარელიძესაც შევხვდი. ნამდვილად ვიცი, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო, მაგრამ ხელისუფლებას ამ ადამიანის დაკარგვა არ აწყობდა. ის მოხერხებულად გამოიყენეს ჩვენს წინააღმდეგ, თანაც საზოგადოებას გაუჩინეს განცდა, რომ ჩვენს ორგანიზაციაში რაღაც საშინელება ხდებოდა. მათ გაანადგურეს საქართველოში ერთ ერთი საუკეთესო ორგანიზაცია და მე იძულებული გამხადეს, ოჯახი დამეტოვებინა და სხვა ქვეყნისთვის პოლიტიკური თავშესაფარი მეთხოვა. დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც მსგავსი მიზნით არის მივლინებული ტარას შავშიშვილი საპატრიარქოში და ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროცესების „დირიჟორი“ დიმიტრი შაშკინია. სანამ ამის შესაძლებლობა იქნება, ტარას შავ-

მარიამ რამინაშვილი

შიშვილს ყოველთვის გამოიყენებენ ქვეყნის და ადამიანების წინააღმდეგ, იმიტომ, რომ საამისოდ, ყველა მონაცემი აქვს. არ მინდა ვინმეს ეგონოს, რომ წყენა მალაპარაკებს და პატიება არ შემიძლია, მაგრამ ამ ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი, რომ სადაც ტარას შავშიშვილია, იქ სიმშვიდე არასოდეს იქნება. ამ ხალხის უკან დგანან ძალიან ბნელი და შავი ძალები, ამიტომ

საწყენია, რომ ახალი ხელისუფლება არ დაინტერესდა იმ საქმეებით, რომლებიც შავშიშვილის წინააღმდეგ იყო აღძრული. არც ის იყო სწორი, რომ განათლების მინისტრობის პერიოდში გიორგი მარგველაშვილმა ყველას ყველაფერი შეუნდო, მაგრამ პოლიტიკური დევნის შედეგად გათავისუფლებული დირექტორები და მასწავლებლები სამსახურში არ აღადგინა. დღევანდელი გადასახედიდან, დღესავით ნათელია, რატომ მოიქცა მარგველაშვილი ასე. საბოლოოდ, მივიღეთ რეალობა, რომ რაც დღეს განათლების სისტემაში ხდება, ამ ხელისუფლების და ქართული საზოგადოების წინააღმდეგ ჩადებული ბომბია, რომელიც ძალიან მალე გააქტიურდება.

ნელი თორდია
571 35 36 88

სტრასბურგის სასამართლომ ქვეყნის სუვერენიტეტი ხელყო...

3 გვ.

რომ უთქვამთ რამდენი მეჩეთია საქართველოში, გაკვირვებია, ამდენი მეჩეთი აზერბაიჯანშიც კი არ არისო.

ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა დადგეს სახალხო დამცველისა და „პროგრესულად“ მოაზროვნე „ენჯეოშნიკების“ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მე მოვუწოდებ ჩვენს უსაფრთხოების სამსახურს, რომ ამ საკითხით დაინტერესდეს. სახალხო დამცველის მხრიდან მოღალატური განცხადებები ერთია და როგორც თავისივე თანამშრომლები ამბობენ, ეს უწყება კორუფციის ბუდედაა ქცეული. იქ კორუფცია მართლაც შეინიშნება, თუმცა აუდიტის სამსახურმა ბოლოს აღარ შეამოწმა, რა თქმა უნდა ქალბატონი ლომჯარია (აუდიტის უფროსის მოადგილე) ხელს აფარებს, მოგეხსენებათ ერთი ბუდიდან არიან წამოფრენილები. ბატონ ნანუაშვილს სერიოზული ფინანსური დარღვევები აქვს, წელიწადში 250 დღე უცხოეთშია, ვისი ფულით დადის? ძვირადღირებული ავტომანქანებიც ძალიან უყვარს და მათი შეძენითაა დაკავებული. ისე, ძალიან საინტერესოა, რას აკეთებს უცხოეთში, რა „გამოცდილებას“ იძენს მაგალითად ახალ ზელანდიასა და ტაილანდში, სადაც ქალბატონ ნათია კაციტაძესთან ერთად დაბრძანდება, რომელსაც თანამშრომლები „დედოფლად“ მოიხსენიებენ და რომლისთვისაც ნანუაშვილს მეორე ავტომანქანაც შეუძენია. ნანუაშვილის მიერ უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლები კიდევ ცალკე თემაა, ერთ-ერთმა მათგანმა ახლახანს მოიგო სასამართლო პროცესი. ერთი თუ დაუთმო ამ ამბავს ყურადღება ელექტრონულმა მედიამ, ბევრს რომ ლაპარაკობს უფლებების შელახვაზე. სახალხო დამცველი, რომელმაც მოსახლეობის უფლებები უნდა დაიცვას, საკუთარი თანამშრომლების უფლებებს არღვევს. ვინ არიან, სად გაიზარდნენ ეს ვითომდა პოლიტიკოსები და უფლებადამცველები, ასე რომ სძულთ საკუთარი ქვეყანა. წარმოიდგინეთ, უკრაინაში სს-ის საქმე აღძრეს რადას იმ დეპუტატის მიმართ, რომელმაც განაცხადა ყირიმი რუსეთს 50 თუ 100 წლით იჯარით გადავცეთო, ამ დროს იმ ხალხმა, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებენ, საკუთარ ქვეყანას ისეთ რაღაცაში ადანაშაულებენ, რამაც შეიძლება ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა დაძაბოს, პასუხი არ უნდა აგონ? ეს თურმე სიტყვის თავისუფლება ყოფილა, სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს, რომ, რაც ენაზე მოგადგება ყველაფერი ილაპარაკო. ისრაელში ერთი გადაბრუნებული სიტყვა რომ თქვას ვინმემ სახელმწიფოს წინააღმდეგ, პასუხისგება არ ასცდება. იგივეა აზერბაიჯანშიც, იქ სს-ის საქმე აღძრეს ერთ-ერთი ბლოგერის მიმართ, რომელმაც აზერბაიჯანის სუვერენიტეტის შემლახავი განცხადება გააკეთა. ეს ბლოგერი რუსეთის მოქალაქეა, იგი ბელარუსში დააკავეს, მართალია ლავროვმა მწვავე პროტესტი გამოხატა, მაგრამ მაინც მოხდა მისი ექსტრადირება აზერბაიჯანში. აი, ესენი არიან სახელმწიფოები. მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ 21-ე საუკუნეში ჩემთვის სანატრელი იქნებოდა და კეთილი შურით შემშურდებოდა, რომ ბელარუსს, აზერბაიჯანს, სომხეთს და მოლდოვას ასეთი პრეზიდენტები ჰყავთ, ისინი ზედმეტს არავის გააბედინებენ. ჩვენთან კი რა ხდება - სტრასბურგის ხსენებული გადაწყვეტილება იმის შედეგიცაა, რომ ჩვენ არცერთხელ არ მივანიშნეთ ამერიკის ელჩს, რომ ნუ ერევა ჩვენს საქმეებში, იმ მოტირალი ბავშვივით, ყველაფერი რომ გასდის ამ კაცს, იმიტომაც ბედავს ამდენს. ამერიკის საელჩოს განცხადება რა თქმა უნდა სახელმწიფოს პოზიციას გამოხატავს, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა სიტუაციაა, კელი ძველი ხელისუფლების დანიშნულია, პრეზიდენტი ტრამპი ეტყობა ჯერ ვერ იცლის ამისთვის, მას შიდა ბრძოლები აქვს პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან და მასმედიასთან, როგორც ბოლომდე ჯერ ვერ აიღო ხელში ძალაუფლება თორემ... ვიმეორებ,...ქვეყანას თუ პრეტენზია აქვს, რომ ის სახელმწიფოა, უნდა დაიცვას სუვერენიტეტი, საკუთრება, ადამიანის თავისუფლება და ა.შ. არ უნდა დაგვასვას თავზე ქვეყნის გამყიდველი „ენჯეოები“, სახალხო დამცველი და ე.წ. პოლიტიკოსები, თურმე ამ სულით მახინჯების ხუშტურებზე უნდა ვიაროთ. ხელისუფლება თუ ასე გააგრძელებს, არ ალაგმავს ამათ ქმედებას, ცუდად დაამთავრებს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გიორგი მშვენიერაძე

როგორ შეიძლება ჩვენისთანა უღარიბესი ქვეყნის პარლამენტში 45 მილიონერი გვყავდეს?

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე

— ბატონო სოსო, რა ხდება მსოფლიოში და როგორ აისახება ეს მოვლენები საქართველოზე?

— ჰოლანდიაში გეერტ ვილდერსმა ვერ გაიმარჯვა, თუმცა, არც დამარცხებულა. ჰოლანდიამ, ნიდერლანდებმა დაამტკიცა, რომ იქ ეს მოდელი წარმატებით მუშაობს. უკვე ასექვსი წელია, რაც ჰოლანდიაში ერთპარტიული პარლამენტი არ ყოფილა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოიდგინეთ, იქ, 100 წელიწადზე მეტია სულ კოალიციური მთავრობებია. ანუ, უკვე ჩამოყალიბებულია აპოლიტიკური კულტურა კომპრომისების, შეთანხმებების, მოლაპარაკებების, დათმობების, ერთობის მიღწევისკენ. ჩვენთან, ჯერჯერობით, სულ ერთპარტიული პარლამენტები და მთავრობებია. ეს ნიშნავს, რომ საპარლამენტო რესპუბლიკისთვის აბსოლუტურად არ ვართ მზად. კი, „თავისუფლების“ პარტიამ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ გენერალურ შტატებში, ანუ პარლამენტში რვა ხმით მეტი მიიღო, ხოლო გამარჯვებულმა მარკ რუტემ ხუთი ხმით ნაკლები მიიღო, ხმები მაინც დაკარგა. საშინელი კატასტროფა განიცადა მმართველი პარტიის ხანგრძლივმა მოკავშირემ, კოალიციის წევრმა სოციალ-დემოკრატებმა. სოციალ-დემოკრატები, რბილად რომ ვთქვათ, მხოლოდ საქართველოში არ არიან ძალიან სუსტნი. მემარცხენე პარტიები იქაც კრიზისშია. ევროპაში სოციალ-დემოკრატები ყოველდღიურად კარგავენ პოპულარობას იმიტომ, რომ მათ მიგრანტებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხები არ აქვთ. თვით რუტემაც, პრემიერ-მინისტრმა რომელიც ალბათ, ამ პოსტს შეინარჩუნებს იმით გაიმარჯვა, რომ ბოლოს ვილდერსის რიტორიკა გამოიყენა. მან არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე განაცხადა: ვისაც არ გინდათ ჩვენს წესებსა და სისტემას შეეგუოთ, ეშმაკთანაც წასულხართ, აიკიდეთ გუდა-ნაბადი და აქედან წაეთრიეთო. ასეთი მკვეთრი განცხადება თვით ვილდერსსაც არ გაუკეთებია. ამიტომ, მემარჯვენე პოპულიზმი რომელიც ამ ანტიმიგრაციულ ფონზე ვითარდება, ჯერ არ დამარცხებულა. თანაც, ევროპის ამ საშინაო გართულებების აქტიურ მოთამაშედ, უცებ, თურქეთი იქცა. ეს რას ნიშნავს? — თურქეთმა შესაძლოა ევროკავშირში ბზარი გააჩინოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორიდან სამ-მილიონამდე თურქი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობს. ამ ბზარში, რასაკვირველია, რუსეთიც თავის ადგილს მოძებნის და ევროკავშირის წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის ტანდემი შედგება. ამიტომ, ძალიან კარგია, რომ მემარჯვენე პოპულიზმს, ჰოლანდიის სახით, პირველი ბარიერი დახვდა. ამასობაში, ერთ თვეში საფრანგეთის არჩევნებია. ვილდერსს რომ გაემარჯვა მართალია მთავრობაში ვერ მოვიდოდა, მაგრამ პარლამენტში ყველაზე დიდი ფრაქცია ექნებოდა. ეს უკვე მარი ლე პენისთვის სტიმული იქნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრექსიტმა და ტრამპმა ლიბერალურ ევროპას ძალიან ცუდი სამსახური გაუწია. არც ინგლისშია ყველაფერი მშვიდად. პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის ბრიუსელში, ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე, ძალიან რთული მოლაპარაკებები ელოდება, რაც მომავალ წელს უნდა დამთავრდეს. ამავე დროს, შოტლანდიამ, უცებ, გაერთიანებული სამეფოდან გასვლის თაობაზე რეფერენდუმი მოითხოვა. როგორც ჩანს ეს წელი ევროპისთვის გადამწყვეტია — 22 აპრილს საფრანგეთში არჩევნებია. პროგნოზი ასეთია: პირველ ტურში ლე პენი გაიმარჯვებს, მაგრამ გასაპრეზიდენტებლად ეს საკმარისი არ იქნება. მეორე ტურში, ალბათ, მამამისის პრეცედენტი განმეორდება, როცა მან პირველ ტურში გაიმარჯვა და მეორეში დამარცხდა.

გეერტ ვილდერსი

ნატოშიც კრიზისია. თურქეთი თავის სტრატეგიულ მოკავშირეს — ჰოლანდიას ფაშისტს ეძახის. მეორე საკითხია, რა ფაშიზმზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როდესაც ჰოლანდიის უდიდესი ქალაქის როტერდამის მერი მაროკელია. ერდოღანს ეს აურზაური 16 აპრილის რეფერენდუმისთვის სჭირდება. მას ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები აქვს დაგეგმილი — უქმდება პრემიერ-მინისტრის პოსტი, პრეზიდენტს ნებისმიერ დროს პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნება, კიდევ 30-ამდე კანონი იცვლება, სადაც პრეზიდენტის უფლება-მოსილება წარმოუდგენლად იზრდება. მას ამერიკის პრეზიდენტზე ორჯერ მეტი უფლებები ექნება. დიპლომატიის ისტორიაში უპრეცედენტო კონფიგურაციებთან გვაქვს საქმე. ჩვენ, ევროპისკენ მივდივართ და, ამ დროს, სტრატეგიული მოკავშირე — თურქეთი ანტი-ევროპელია. ცივი ომის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვეობა — ეს ყველაზე დაძაბული პერიოდია. მთელი მსოფლიო იარაღდება — ცალკე ნატო, ცალკე აშშ, ცალკე ევროპა. თანაც, ყველა საკუთარ პრობლემებშია ჩაფლული. აქვე, არ ვიცით ტრამპი რითი დაამთავრებს, როგორც ფრონტის ხაზიდან ისე მოდის ყოველდღე აშშ-დან ახალ-ახალი ამბები — სხვადასხვა შტატების პროკურორები მისი კანონის მოქმედებას აჩერებენ. ასევე, გადაიკიდა პრესა, ინტელიგენცია. ამერიკა შუაზე გაიყო როგორც ეს სამოქალაქო ომის დროს 1860-65 წლებში იყო. მთელს მსოფლიოში ადამიანთა დაპირისპირებები, შუღლი, მიუღებლობა, მოწინააღმდეგე აზრისადმი აგრესიული დამოკიდებულება. ასეა საქართველოშიც...

დღეს, ჩვენ თუ რამე გვჭირდება, პირველ რიგში, ეს ერთიანობა, გაერთიანებული საზოგადოებაა. მაგრამ აშკარაა, ლუსტრაცია ხდება. პრისტონის უნივერსიტეტის შედეგებს მთავრობა იკვლევს და ცდილობს შესაბამისი ზომები მიიღოს, ჩვენთან ამას არავინ აკეთებს. წესით, უნდა განიხილონ, რატომ არის ხალხი ასე გაბოროტებული ერთმანეთზე. ხანდახან, რომ ვუყურებ მეშინია ხანდაზმული ხალხი გაჭარხალდება სახეზე და ინსულტი არ დაემართოთ. აშშ-ში ამას სხვა მიზეზები აქვს, ჩვენთან მთავარი მაინც სოციალური ფონია — სიდუხჭირე, თანაც, უმთავრესი არათანასწორობაა. ჯერ კიდევ 200 წლის წინ ნაპოლეონი ამბობდა: საფრანგეთის დიდი რევოლუცია თავისუფლებისთვის კი არ მოხდა, ეს საბაბი იყო, არამედ ხალხს კანონის წინაშე თანასწორობა უნდოდა. რას ნიშნავს თანასწორობა? — არ უნდა არსებობდნენ ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბები. ჩრდილოეთ-ევროპამ, პრაქტიკულად, ამას მიაღწია. იცით, რომ ნორვეგიაში, დანიაში მილიარდერები არ არსებობენ? არადა ეს ქვეყანა მსოფლიოში ცხოვრების დონით პირველ ადგილზეა. იქ, მეტ-ნაკლებად ყველა ერთნაირად კარგად ცხოვრობს, არ არის ისეთი სოციალური უფსკრული როგორც ჩვენთან. განა შეიძლება უღარიბესი ქვეყნის პარლამენტში როგორიც საქართველოა 45 მილიონერი იყოს?! ეს ხომ კატასტროფაა. ეს მილიონერები ღატაკ ამომრჩეველთან როგორ გამოძებნიან საერთო ენას. ეს პრობლემები ღრმა შესწავლას და ხელისუფლების მხრიდან სწრაფ რეაგირებას მოითხოვს. საბაბად შეიძლება იქცეს დაჯარიმებებიც. მეზობელმა მომიყვა: მანქანა ხუთი წუთით გავაჩერე, საკვები ვიყიდე და 250 ლარიანი ჯარიმა გამომიწერესო. ეს უკვე უკმაყოფილების საბაბია ისევე, როგორც პარიზის დიდი რევოლუცია დაიწყო იმით, რომ პარიზში პური გაქრა. დედოფალს წარმოდგენა არ ჰქონდა ხალხი როგორ ცხოვრობდა, მას ეგონა პური არ იშოვებოდა და თქვა: მერე რა თუ პური არ არის, ერთი დღე ფუნთუშები ჭამონ, რა მოხდებაო. ვერ მიხვდა, რომ ხალხს ფული არ ჰქონდა თორემ, პური როგორ არ იყო. დედოფლის ეს ნათქვამი პარიზში გახმაურდა და რევოლუციაც დაიწყო. ეს საბაბია. ჩვენშიც, ღმერთმა ნუ ქნას, ასე მოხდეს.

მარინ ლე პენი

ქვეყანას უმაღლესი დონის დიპლომატია სჭირდება, რათა რუსეთთან, ევროპასა და თურქეთს შორის ლავირება შევძლოთ. თურქეთი და რუსეთი სტრატეგიული მოკავშირეები არიან, მითუმეტეს, ახლა, როცა ორივემ შანსი გამოძებნა ევროპა დაასუსტონ, რაც ორივეს აწყობს, მაგრამ არა ჩვენ. ამ ლაბირინთში სწორ გზას გავიკვლევთ? ვის იმედზე ვიყოთ, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროსი, რომელიც უკვე კომუნისტების დროს უბნის სახლმმართველობა რომ იყო, იმ დონეზეა. მოკლედ, ძალიან რთული სიტუაციაა, რასაც მძიმე სოციალური ფონი ემატება.

— ბატონო სოსო, ევროპამ ვიზა-ლიბერალიზაცია მოგვცა, ევროპული ოჯახის ნაწილი ვხდებით. ეს ცოტაა?

— ვინ თქვა, რომ ევროპული ოჯახის ნაწილი ვართ? ხომ ხედავთ, სანამ შეჩერების მექანიზმი არ შეიმუშავეს, მანამდე ევროპაში ფეხი არ შეგვადგმევინეს. რატომ? — თუ ნდობა იყო, მაშინ ეს შეჩერების მექანიზმი რაღა საჭირო იყო? ბალტიისპირეთი როცა მიიღეს, როდის დაუწესეს შეჩერების მექანიზმი. ამიტომ არსებობს ცნება — ისტორიული გადასახედიდან. მინიმუმ ნახევარი საუკუნე სჭირდება, რომ შეფასდეს, რა უბედურება მოგვიტანა სამოქალაქო ომმა. თამარ, ჩვენ დღესაც სამოქალაქო ომის სინდრომში ვცხოვრობთ — ერთმანეთისადმი სიძულვილსა და დაპირისპირებაში. ამიტომ, სანამ კიდევ იარსებებს ცნებები — ზვიადისტი, მიშისტი, შევარდნაძისტი, ბიძინისტი, ჩვენი საშველი არ იქნება. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ოპოზიციის მთავარი საზრუნავი მარტო ისაა ხელისუფლებას რაღაცაში ბრალი დასდოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ვლადიმერ ხომერიკი:

სამწუხაროა, რომ საქართველო, რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, საერთოდ არ იყენებს ქართული სათვისტომოს პოტენციალს

გვესაუბრება რუსეთის პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველი ნაციონალურ საკითხებში, რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდის პრეზიდენტი, პატონი ვლადიმერ ხომერიკი.

— მოდით, საუბარი დავიწყოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მტკივნეული საკითხით.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის მხრიდან სამხედრო ძალების გაძლიერება ხდება. ეს არ არის სასიხარულო პერსპექტივა ჩვენთვის. როგორ გესახებათ გამოსავალი ამ მართლაც ჩიხური მდგომარეობიდან?

— შექმნილ მძიმე მდგომარეობას დრო ვერ აუმჯობესებს. პირიქით. მაგრამ ყველაზე სავალალო მაინც ის არის, რომ ქართული მხარე არ არის დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს. არაერთგზის ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მოლაპარაკებების გარეშე არაფერი გამოვა. საქართველოს მთავრობა, მგონი, შეეგუა იმას, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არ არის ქართული სახელმწიფოს ნაწილი. შთაბეჭდილება მრჩება, რომ უნდათ, დოკუმენტურად გააფორმონ ეს და, ასე ვიტყვი, ზედმეტი თავის ტკივილი აირიდონ — რაც შეიძლება მალე რომ გახდეს საქართველო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ნაწილი.

იყო პერიოდი, როცა შედარებით იოლად იყო შესაძლებელი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება, დღესაც მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ, მგონია, რომ ჩვენ მეტისმეტად ვიგვიანებთ.

ვფიქრობ, ჩვენს ხელისუფლებას ზოგიერთი დასავლური ძალა და აშშ არ აძლევს საშუალებას, აღადგინოს საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა.

სიტყვებით, თითქოს, მხარს უჭერენ ამას, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. საქართველოს რეალურ მმართველებს, პატრონებს, არ სურთ საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობების არსებობა. დღევანდელი ხელისუფლებაც ემორჩილება დასავლეთის ბრძანებებს.

— მაგრამ ახლანდელი ხელისუფლების პირობებში დაიწყო ნაბიჯების გადადგმა რუსეთის სახელმწიფოსკენ. ნელ-ნელა ჩნდება კულტურული ურთიერთობების პერსპექტივები, განიხილება სავაჭრო ზონების გაფართოების საკითხები რუსეთის ტერიტორიაზე, აბაშიძე-კარასინის პროექტიც იმედისმომცემია.

— აბაშიძე-კარასინის ფორმატი ძალიან სუსტია. ამ კუთხით, სამწუხაროდ, დღეს სერიოზული არაფერი ხდება. უმნიშვნელო ძვრებია ეკონომიკის კუთხით. სულ ეს არის.

ქართული მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სურს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა, ვაჭრობა, სამუშაოდ რუსეთში თავისუფლად წასვლა.

რაც უნდა პარადოქსულად მოეჩვენოს ვინმეს, საქართველოს გადარჩენის გასაღები რუსეთში დევს — გინდა ეკონომიკა ავიღოთ, გინდ პოლიტიკა, გინდ ტერიტორიული მთლიანობა. ყრუ, ბრმა ან გიჟი უნდა იყოს ადამიანი, ამას რომ ვერ მიხვდეს.

რა მოვიგეთ რუსეთთან მუდმივი კონფრონტაციით?! დაკარგული ტერიტორიები, ქვეყნიდან სამუშაოს საძებნელად გასული ათასობით მიგრანტი, გაჩანაგებული ეკონომიკა, უცხოეთის ფრონტებზე დაღუპული ჩვენი ჯარისკაცები, ლუგარის მომწამვლელი ლაბორატორია საქართველოს ტერიტორიაზე და ნატოს წევრობაზე ოცნება. უნდა გითხრათ, საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი. მოეშვით ამაზე ფიქრს, სანამ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ გადაწყდება.

მეტიც, თუ მოხდა ისე, რომ საქართველო გაწევრიანდა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში, რუსეთის მხრიდან უფრო მეტი აგრესია წამოვა. ისინი გამანადგურებელ რაკეტებს განათავსებენ ჩვენი, როგორც აგრესიული სამხედრო ბლოკის ნაწილის წინააღმდეგ და ეს, მგონი, არავის უნდა დღეს საქართველოში.

— როგორც ვხედავ, თქვენ არ ხართ მოხარული, საქართველომ ევროპისკენ უფრო ფართო გზები გაჭრას.

— (იცინის.) მე არ მესმის, როცა ლაპარაკობენ ევროპულ ღირებულებებზე. რა ღირებულებები გააჩნია ევროპას ისეთი, რაც საქართველოს არ აქვს, ან არ ჰქონია. დაუჩემებიათ, დემოკრატია არის ევროპაშიო. ვინც ამას ამბობს, იმან არ იცის, რას ნიშნავს, რეალურად, დემოკრატია. ამერიკაში, მაგალითად, პირდაპირი წესით პრეზიდენტსაც კი არ ირჩევენ. ყველაფერი კულუარულად ხდება.

ევროპა, როგორადაც ის ჩვენთან ზოგიერთს წარმოუდგენია, უკვე აღარ არის ისეთი. აღარც კულტურა შერჩათ ძველებური და აღარც არაფერი.

საფრანგეთში ნამდვილი ფრანგი უკვე აღარ დარჩა. ჯიში და ერი იკარგება.

ვივაჭროთ, ვიმეგობროთ ევროპასთან, მაგრამ ვიცხოვროთ ქართულად. ამას ვამბობ, მაგრამ, როგორც ვხედავ, არავის ესმის.

უვიზო რეჟიმის მომხრეებისაც მიკვირს — ვინ უნდა წავიდეს ევროპაში უვიზოდ, ვის აქვს ამის საშუალება, ან რატომ უნდა წავიდეს. სამუშაოდ? მოახლედ? სავაჭროდ? საქართველოს არ აქვს ისეთი კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ევროპის ბაზარზე რომ გამოჩნდეს.

არაფერი გვაკავშირებს ჩვენ დღევანდელ ევროპასთან და რატომ უნდა ვაინტერესებდეთ ევროპას, გვიფიქრია ამაზე? ჩვენი გადარჩენა უნდათო. ჯერ მითხრან, ვინ გადაარჩინა ამერიკამ და ევროპამ და მერე დავიჯერებ, რომ საქართველოს უშველიან.. ისედაც არაერთხელ ვნახეთ, როგორც დაგვეხმარნენ.

— ბატონო ვლადიმერ, არ გიცდიათ საუბარი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან ან რუსეთის მთავრობასთან ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხებზე?

— კი. მაგრამ, რუსეთის მთავრობა ამბობს: თქვენ რა გინდათ, როცა საქართველოს ოფიციალურ მთავრობას არ სურს ჩვენთან საუბარი?!

ქართული მხრიდან ურთიერთობებიც არ გაღრმავებულა რუსეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან, რომელიც, უნდა ითქვას, ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს რუსეთში.

ჩვენ არც კი ვიცით, რა სურს, რეალურად, საქართველოს იმის გარდა, რომ ამბობენ: დაგვიბრუნოს რუსეთმა ტერიტორიები! დიახ, ტერიტორიების საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ დიალოგში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტიც გამოიკვეთება.

სამწუხაროა, რომ საქართველო, რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, საერთოდ არ იყენებს ქართული სათვისტომოს პოტენციალს, იმ ავტორიტეტულ, მდიდარ ქართველებს, ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, მაშინ, როცა რუსი ხალხი და რუსეთის მთავრობა ძალიან კარგად არის განწყობილი საქართველოს მიმართ.

სახალხო დიპლომატიას დიდი როლი ენიჭება ასეთ დროს. მეცნიერები, კულტურის მუშაკები უნდა ჩაერთონ კონფლიქტების მოგვარების საქმეში. გაირკვეს, რას ითხოვს ერთი მხარე მეორისგან.

კარგი ინიციატივა იყო, რუსეთში ბოლოდროინდელი არჩევნების შემდეგ, დუმის დეპუტატების და საქართველოს პარლამენტის დეპუტატების ერთგვარი გაცვლის განხორციელება. ერთმანეთთან შეხვედრები, დიალოგები ბევრ სადავო საკითხს დაუსვამდა წერტილს. პარლამანტთაშორისი დიალოგები, საპარლამენტო ჯგუფების კოორდინირებული მუშაობა სასიკეთო შედეგებს მოიტანდა. ესეც უგულებელჰყო საქართველოს მთავრობამ.

— ახლახან საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის აღდგენა სთხოვეთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ასე უფრო შეძლებთ წარმატებული დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხში?

— დიახ, დიახ. სწორად მიხვდით. ჩემს ადგილას სხვა ამას არ მოისურვებდა. ვმუშაობ და ვმოღვაწეობ რუსეთში. კიდევ რაში მჭირდება საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მე რეალურად მსურს, საქართველოს ვემსახურო. მარტო რუსეთში კი არა, საქართველოშიც თავისუფლად შემეძლოს, ჩემი შანსები გამოვიყენო. გავუზიარო გამოცდილება და რჩევები ჩემს თანამემამულეებს. მომეცეს უფლება, ოფიციალურად მივიღო მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შეიძლება, ამისაც ეშინია დღევანდელ მთავრობას. იმიტომაც მითხრეს უარი მოქალაქეობაზე. ისე, არც უარი უთქვამთ და არც თანხმობა. საერთოდ, უპასუხოდ დატოვეს ჩემი თხოვნა.

მე საქართველოში ვარ დაბადებული და გაზრდილი. საქართველოდან წასვლის შემდეგ, სადაც ვყოფილვარ, კარგი საქმეების გარდა, არაფერი მიკეთებია.

თურქებს, არაბებს და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს რომ აძლევენ მოქალაქეობას და მე არ მაძლევენ, ეს არის საკუთარი ქვეყნის მტრობა.

პირველ რიგში, ქართველები უნდა დაბრუნდნენ საქართველოში, რომ დაეხმარონ ჩვენს ქვეყანას. თურქებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უძველესი მტრები არიან, აჭარაზე რომ უჭირავთ თვალი და დაიპყრეს თითქმის მთელი აჭარა, მათ უნდა მისცენ საქართველოს მოქალაქეობა და მე არა? სადაა აქ ლოგიკა და სამართალი. აჭარაში 40% თურქებს აქვთ გაშლილი ბიზნესი, მათ სურთ აჭარაში ფეხი მოიკიდონ. ამას მშვიდად უყურებს ჩვენი მთავრობა. თუ რაიმე კონფლიქტი შეიქმნა, თურქს მეტი უპირატესობა ეძლევა, ვიდრე ქართველს. ეს როგორ შეიძლება?! იმუშაონ, ოღონდ მოქალაქეობა და პრივილეგიები რატომ უნდა ჰქონდეთ, ეს არ მესმის. მაშინ, როცა ქართველები გარბიან საქართველოდან. დაიცალა ჩვენი ქვეყანა. მშვენივრად იცით, რა მძიმე მდგომარეობაა ამ კუთხით.

— ახლახან მართლაც ვანდალური ფაქტი მოხდა ბათუმში. დალეწეს შენობები, აყარეს ქვაფენილი, დაწვეს პოლიციის მანქანები, იყო ანტიქართული შეძახილები.

— დიახ, მე, როგორც ბათუმელი, თვალ-ყურს ვადევნებდი იქ მიმდინარე პროცესებს.

სამწუხარაა, რომ ნაციონალური რეჟიმის წარმომადგენლები ისევ რჩებიან თანამდებობებზე. მათ უნდათ რევანშის აღება და მშვენივრად გამოიყენეს „რუსთავი-2“-ს ბოლოდროინდელი ამბები. ეს იყო კიდევ ერთი აკორდი, შეტევა მთავრობაზე, სახელმწიფოზე. სამწუხაროდ, აჭარაში კიდევ აქვთ ძალა და რესურსი „ნაცმოძრაობას“ და ბევრი მავნებლობა შეუძლიათ ჩაიდინონ.

რაც მოხდა ბათუმში, ეს იყო წინასწარ მომზადებული პროვოკაცია „ნაცმოძრაობისგან“, რაშიც, ჩემი ვარადუდით, თურქეთის მხარეც იყო ჩართული. ისინიც არიან დაინტერესებულნი, არეულობა იყოს აჭარაში, ამღვრეულ წყალში თევზი იოლად რომ დაიჭირონ. თუ ხელისუფლება არ მიიღებს ზომებს, ამას არ მოჰყვება კარგი შედეგები.

თამამად შემიძლია ვთქვა, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები არიან საქართველოს მტრები. მტრებთან კოპაბიტაციამ, როგორც ვნახეთ, მძიმე ვითარება შექმნა და არც აწი შეიძლება მოველოდეთ უკეთესს.

კიდევ ვიმეორებ: აუცილებელია რუსეთთან დიალოგი. საქართველომ დამოუკიდებლად სიარული უნდა ისწავლოს, არ უნდა უგდებდეს ყურს დასავლეთის ან ამერიკის დირექტივებს, საკუთარი პრობლემების გადაჭრა თვითონ უნდა შევძლოთ და თვითონ უნდა გადავწყვიტოთ, რა არის და რა იქნება უმჯობესი ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



სიკვდილი „პოსლეზე“

გასული წლის აგვისტოს მერე მინდა ქინაქინა... ვეძებ ინტერნეტში, მეგობრებში, მოყვრებში და ნათესავებში...

ირაკლის ექნება მამალაძეს სადმე გადანახული, მაგრამ არ ვიცნობ და ვერ ვთხოვ, მეუხერხულება... მეუხერხულება რა, უფრო მეშინია, პრინციპში...

მივაგენი ბოლოს და ბოლოს ქინაქინას, მაგრამ რად გინდა? ფული ღირს, თურმე... არ ყოფილა უფასო... მომცენ „პოსლეზე“, რა მოხდება?

პრეზიდენტი ავირჩიეთ „პოსლეზე,“ ბოლოს და ბოლოს...

ციანიდის ყიდვა სურდა, თურმე, დეკანოზს „პოსლეზე“, ბოლოს და ბოლოს...

ჟურნალისტმა მამალაძემ განაცხადა: დეკანოზი მამალაძე, როგორც მე ვფიქრობ, მარტო არ მოქმედებდა, კარგად დადგმული სცენარი იყო და მის უკან კიდევ სხვები იდგნენო... და ერთი კი არა რამდენიმე ადამიანის მოკვლას აპირებდაო...

ჯგუფურ დანაშაულთან გვქონდა ანუ საქმე ბატონო ირაკლი?

ვაი, ფიქრი თქვენ არ შეგეძლოთ, რა...

გასული წლის აგვისტოს შემდეგ თუ ადამიანთა ჯგუფი მკვლელობისთვის ეძებს ციანიდს, როგორმე ფულიც ექნება გადადებული - არა?

მკვლელოპის იარაღი „პოსლეზე“ - აღარ გამიგია...

ციანიდი - „პოსლეზე“ აღარ გამიგია...

ქინაქინიც კი ვერ ვიშოვნე „პოსლეზე“...

მარტო მარგველაშვილს გაუმართლა - ეგ მართლა ავირჩიეთ „პოსლეზე...

მარტო „პოსლეზე“ რატო, გარანტიაც მოუთხოვია დეკანოზს... რამდენწლიანი გარანტია მისცეს, ნეტავი? რომ არ ვერ მოეწამლა ამ ფხვნილს - გამოუცვლიდნენ თუ შეუკეთებდნენ?

საგარანტიო წერილზე ბეჭდის დარტყმა და ხელის მოწერა არ დაგავიწყდეთ, თუ ეგაც „პოსლეზეა“?

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ყველაფერი „პოსლედ“ წავიდა ამ საქმეში...

დეკანოზი აიყვანეს და „პოსლე“ გაჩხრიკეს ბარგი... ოღონდ, რამდენიმე საათის „პოსლე“...

„პოსლე“ მივიდა ადვოკატი... 5 საათის „პოსლე“ და „პოსლეს პოსლეც“ არ გვეუბნება რა ნახა ჩემოდანში და

ნახა თუ არა ციანიდი. ვერ გეუბნებითო - ამბობს... იმედია, ოდესმე, ანუ, „პოსლეს პოსლეს პოსლე“ გვეტყვის... დღემდე მხოლოდ იმას ამბობს, ცამდე მართალია დეკანოზიო...

„პოსლე“ წავიდა სამსახურიდან დაცვის უფროსი...

„პოსლე“ გამოააშკარავეს მღვდელმთავრებმა ერთმანეთი...

„პოსლე“ გამოჩნდა დაზარალებული...

მერე კიდე უფრო „პოსლე“ სხვა დაზარებული გამოჩნდა...

და მერე ისევ „პოსლე“ სხვა დაზარებული...

არც „დო“ და არც „პოსლე“ არ გადაუღიათ სამაგიეროდ ციანიდის ხელიდან ხელში გადაცემის ფაქტი... არც ჩემოდანში ციანიდის მოთავსების ფაქტი... არც ჩემოდიდან ციანიდის ამოღების ვიდეო ჩანს არსად... არადა, უკვე იმდენი „პოსლე“ გავიდაა..

დეკანოზს თურმე, როგორც ვიდეო გვიმტკიცებს, სულ არ ადარდებდა „პოსლე“ კვალს დატოვებდა თუ არა ციანიდი... მთავარი იყო ბევრი გვამი ჰქონოდა, ან ერთი და ისეთი, აი, წონიანი...

თუ, სულ ერთი იყო, კვალს დატოვებდა „პოსლე“, თუ არა, თუ, სულ ერთი იყო, მოკლული გვეგონებოდა თუ ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილი - რა მნიშვნელობა ჰქონდა ციანიდით მოწამლავდა, თუ რამე ბევრად იაფი და ხელმისაწვდომი საწამლავით?

მაგრამ, ეტყობა, პრინციპის ამბავი იყო... ეტყობა, ახირება ჰქონდა ეგეთი... „პოსლეზე“ ნაშოვნი ციანიდი უნდოდა მაინც და მაინც... ჩემი არ იყოს, ქინაქინა რომ ავიჩემე და დავეძებ უგზო-უკვლოდ...

არ მისცეს დეკანოზს „პოსლეზე“ ციანიდიო, - გვითხრეს... ამიტომ ბათუმში გადაფრინდა და და იქ ბანკში აიღო „პოსლეზე“ ფული, რომ მერე ნაღდზე ეყიდა თბილისში ციანიდი...

და სად იყვნენ ამ დროს მისი ე.წ. თანამზრახველები, ბატონო ირაკლი? აკი, უფრო დიდი ხალხი ედგა უკან და აიძულებდნენ ასე მოქცეულიყოო? ფული რატომ არ მისცეს? ნუ, თუნდაც, „პოსლეზე“?

აკი, კინაღამ „ოპერაცია“ უვარდებოდათ უფულობის გამო...

თუ ეგენი „პოსლე“ თანამზრახველები იყვნენ? რა ვიცი, რა ვთქვა...

ერთადერთი დაზარალებული გვყოლია, როგორც პროკურატურამ გვაცნობა - ქალბატონი შორენა...

რამ დააზარალა, ხომ ვერ მეტყვით, ბატონებო?

„დო“ დაზარალდა, თუ „პოსლე“?

როგორ არ დაზარალდა, მარილზე უპირებდნენ გაგზავნასო, - ასე თქვა დეკანოზმაო...

აუ, ოდესღაც და „პოსლე“ ყველა გავალთ გაღმა, მარილზე...

აგვისტოს მერე კითხულობდა და სწავლობდა დეკანოზი გიორგი მამალაძე ციანიდის თვისებებს ინტერნეტშიო... რით ვერ დაიმახსოვრა, ათჯერ მაინც თუ ჰქონდა ნანახი და წაკითხული?

ან, ის როგორ დავიჯერო, რომ 7 იანვარს, ქრისტეშობის ღამის მსახურების „პოსლე“, დაღლილი და მთელი ღამის ფეხზე დგომის შემდეგ - ინტერნეტში შეძვრა და იმ ათასჯერ წაკითხული ციანიდის თვისებების კითხვა დაიწყო თავიდან?

ამ ამბის „პოსლე“ რა იქნება, ნეტავი?

ურემის გადაბრუნების „პოსლე“ გზა გამოჩნდებაო - უთქვამთ, მაგრამ თუ არ იყო გზა დაგებული, რა გამოჩნდება? ჯერ ურემი გადავაბრუნეთ და გზას „პოსლე“ ვაგებთ, რაღაც ისე გამოგვდის, არა?

და დეკანოზის დაკავების „პოსლე“ ვინ დააზარალა და ვინ მოითბო ხელი, ნეტავი?

არ ვიცი, არ ვიცი...

მხოლოდ ის ვიცი, აი, ზუსტად ვიცი, რომ ცუდი ადამიანი ხართ თქვენ - ჟურნალისტო ირაკლი მამალაძე და ცუდი ჟურნალისტი ხართ თქვენ - ადამიანო ირაკლი მამალაზე...

ჩამშვები ჰქვია მაგას გურიაში... პრინციპში, ყველგან ჩამშვები ჰქვია და მეგობრის მოღალატე, მაგრამ, ის განსხვავებაა, რომ გურიაში ჩამშვებობას არ პატიობენ... მამიდან შვილზე გადადის და თაობებს ახსოვს...

ხოდა, ცუდი ადამიანი და ცუდი ჟურნალისტი ხართ თქვენ, ირაკლი მამალაძე... და მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩამშვები ხართ, არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომ რომ, თქვენს მოგვარეს და ნათესავს გონს მოსვლისა და შეჩერებისკენ კი არ მოუწოდებდით — აქეზებდით, ახალისებდით, ცუდი საქმისკენ უბიძგებდით, თუ ასეთი რამ მართლაც ჰქონდა განზრახული დეკანოზს.

„დო“-ც და „პოსლე“-ც...

P.S. ვეძებ ქინაქინს „პოსლეზე“...

რატო რა, პრეზიდენტი თუ ავირჩიეთ „პოსლეზე“, ეგ ვერა?

ან, აგერ, კინაღამ ციანიდი იყიდეს მკვლელობისთვის „პოსლეზე“ და რა ვიცი, რა ვიცი...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ძლიერი რეგიონები

ხარაგაული

ხარაგაულის თეატრი ქალთა დანესებულებაში

საგზაფხულო ღონისძიებების ფარგლებში, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა №5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ ითამაშა. თეატრის რეჟისორის ირინე ჩხეიძის ინფორმაციით, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ქალბატონებისთვის ხარაგაულის თეატრალურმა დასმა მსჯავრდებულებს გაზაფხულის დადგომა და ქალთა დღეები მიულოცა.

სპექტაკლის დასასრულს დაწესებულების დირექტორმა ნესტან ვერულაშვილმა თეატრის დასს სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა.

რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ მზადყოფნა გამოთქვა მომავალში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ითანამშრომლოს.

„ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. გვინდოდა, რომ ჩვენი სპექტალით მსჯავრდებული ქალბატონებისთვის სიხარული მიგვენიჭებინა. დაწესებულებაში ძალიან კარგი აუდიტორია დაგვხვდა. როგორც ვიცი, აქ არიან ქალბატონები შვილებთან ერთად. ჩვენ რეპერტუარში სხვადასხვა სპექტაკლი და ასევე თოჯინების თეატრი გვაქვს, ამიტომ სიამოვნებით ჩავატარებთ მომავალში მსგავს ღონისძიებას,“ - განაცხადა ირინე ჩხეიძემ.

ღონისძიება ხარაგაულის სახალხო თეატრის ინიციატივითა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა და მისი მიზანია მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია.

გურჯაანში სპორტკომპლექსის აუზი ამუშავდა

გურჯაანის სპორტკომპლექსის აუზის გახსნას ესწრებოდნენ კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი გივი გერგიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ვანო ბერიძიშვილი და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები. სტუმრებმა სპორტკომპლექსის საჭიდაო და სატრენაჟორო დარბაზებიც დაათვალიერეს.

დედოფლისწყაროს გამგებლის „ერთი დღე სოფელში“

სოფელ ზემო მაჩხაანის შემდეგ გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ზემო ქედში ქსნელების, ორაშვილებისა და სხვა უბნების მცხოვრებლებს შეხვდა. მან პირადად მოისმინა ყველა იმ პრობლემის შესახებ, რომლებიც სოფლის მოსახლეობას აწუხებს. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივებს სოფელში არსებული პრობლემების უმოკლეს ვადაში მოგვარებას დაჰპირდა.

გამგებლის აზრით, ახალი ინიციატივა – გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად კვირაში ერთი დღის ხალხთან გატარება – უფრო მეტად გაამყარებს მოქალაქეებსა და ხელმძღვანელობას შორის კავშირს, მოსახლეობას მეტი კომუნიკაციის საშუალებას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ასევე ხელს შეუწყობს მათი პრობლემების სწრაფად მოგვარებას.

გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ზემო ქედის პირველ ბაგა-ბაღს, სამუსიკო სკოლასა და კულტურის სახლს ესტუმრა, თანამშრომლებს გაესაუბრა და შენობები დაათვალიერა.

ანაკლიის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე 20 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება

პროექტს „აზიის განვითარების ბანკი“ აფინანსებს. მშენებლობა სამი წლის წინ დაიწყო და წელს დასრულდება.

მიმდინარე პროექტების მონიტორინგის ფარგლებში ანაკლიაში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ჩავიდა. ზურაბ ალავიძესთან ერთად სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, მისმა მოადგილემ დავით კოდუამ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიორგი კობერიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

ამ ეტაპზე პროექტის განხორციელებაზე 50-მდე ადგილობრივი მუშაობს. ანაკლიაში წყალარინების სისტემა ათწლეულების განმავლობაში გაუმართავი და ამორტიზებული იყო. ახალი გამწმენდი ნაგებობა 1 000-ზე მეტ ადგილობრივ ოჯახს და ათასობით ტურისტს მოემსახურება.

ზუგდიდში UEFA-ს მესამე კატეგორიის სტანდარტების ცენტრალური სტადიონი შენდება

სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ამჟამად დასრულებულია მთავარი სტადიონის ყველა ფლიგელის მშენებლობა, მიმდინარეობს შიდა კეთილმოწყობის და საფეხბურთო მოედნის სამუშაოები.

სტადიონს ექნება ორი მოედანი – ძირითადი, 7 200-ზე მეტ მაყურებელზეა გათვლილი, სათადარიგო კი 1 224 მაყურებელს დაიტევს. ძირითადი მოედანი ბუნებრივსაფარიანი იქნება, ხოლო სათადარიგო – ხელოვნური საფარით მოეწყობა.

სტადიონის პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის 9 947 000 ლარია გამოყოფილი. სულ კი მშენებლობაზე 20 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება

ზუგდიდი

წალენჯიხის ტერიტორიაზე მდინარეები და წყალსატევების ნაპირები იწმინდება

დღეს, 22 მარტს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მდინარეებისა და წყალსატევების ნაპირების დასუფთავების აქცია იმართება. ამ მასშტაბური აქციის გადაწყვეტილება მიიღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელ ბესიკ ფარცვანიასთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. განიხილეს ახალი კამპანია „ლურჯი ნაკადული“, რომელიც სწორედ მდინარეებისა და წყალსატევების ნაპირების დასუფთავებას ითვალისწინებს. დღევანდელი აქცია ამ პროექტის პირველი ღონისძიებაა.

შუახევში მოსახლეობას ამბულატორიები სრულფასოვნად მოემსახურებიან

2015 წლის მარტში აჭარის მაღალმთიანეთის სოფლებს „ნივის“ მარკის მაღალი გამავლობის ავტომანქანები გადაეცათ. მათ შორის შუახევში მდებარე სასოფლო ამბულატორიებს – 7. მაღალმთიან სოფლებში, სადაც თოვლი რამდენიმე თვის განმავლობაში დევს, პირველადი სამედიცინო დახმარების პროცესი ახალმა ავტომანქანებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ ამ დღეებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მე-8 ავტომანქანა შეიძინა ჭვანის ამბოლატორიისთვის. ამიერიდან შუახევის მუნიციპალილტეტის მოსახლეობას ამბულატორიები სრულფასოვნად მოემსახურებიან.

2015 წელს შუახევში მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეიქმნა ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ამბულატორიების, ექიმებისა და სამედიცინო პუნქტის მედდების მუშაობის მონიტორინგს, საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებას და მათი მუშაობის ხელშეწყობას.

ავტომანქანა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტარიელ ებრალიძემ ჭვანის მოსახლეობას, საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ ქარცივაძესთან და სხვა ხელმძღვნელ პირებთან ერთად გადასცა.

დედოფლისწყარო

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ბოლნისში

ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე ტროტუარებისა და ჯებირის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. უკვე დასრულებულია დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი და ისინი ბაზალტის ბორდიურებით შეიცვლება. ბაზალტის

ძლიერი საქართველოსთვის

ბოლნისი

ქვითვე მოპირკეთდება ჯებირის ზედაპირი. ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს ორ თვეში დაასრულებს. პროექტის განხორციელებისას დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელი. სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

„ეკო ჰაბი“ ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით, ახალგაზრდული „ეკო ჰაბი“ გაიხსნა.

ცენტრის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით შერაზადიშვილი, CENN-ის აღმასრულებელი დირექტორი ნანა ჯანაშია, ადგილობრივი რესურსცენტრის დირექტორი ია სვანაძე და სხვა მოწვეული სტუმრები.

ცენტრი აღჭურვილია ყველა აუცილებელი ინვენტარითა და გარემოსდაცვითი თემატური ბიბლიოთეკით. CENN-ის ელექტრონული ქსელის მომხმარებლებს ყოველდღიური ინფორმაცია ექნებათ რეგიონში გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მიმდინარე თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ „ეკო ჰაბი“ რიგით მეორე ცენტრია, რომელსაც CENN ახორციელებს რეგიონული პროექტის „გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა სასარგებლო წიაღისეულის მართვის სექტორში კავკასიაში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება გერმანული ფონდის **Bread for the World**-ის ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო საოფისე ფართის სარემონტო სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ უზრუნველყო.

რუსთავი

„ეკო ჰაბის“ არსებობა ხელს შეუწყობს დაბა კაზრეთისა და მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, მათ ჩართვას გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოფხვრისა და სოფლად მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვის პროცესში.

აჭარაში მაღალმთიანი სოფლების წყალსადენების მაგისტრალების მშენებლობა გრძელდება

დასრულებული პროექტით შუახევის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის: ფურტიოს, ბუთურაულისა და ნენიის მოსახლეობა ისარგებლებს. მიმდინარე სამუშაოები ხელშეკრულების ვადით 1-ლ ნოემბერს დასრულდება. პროექტი სამწლიანია და მისი ღირებულება 4 916 999 ლარია. მაგისტრალის მშენებლობა ზღვის დონიდან 1260 მეტრის სიმაღლეზე, სოფელ რაქვთიდან დაიწყო.

თეთრიწყარო – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია ასურეთში

სოფელ ასურეთში, რუსთაველის ქუჩაზე სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს ამორტიზებული სისტემისა და გამანაწილებელი ქსელის შეცვლას შესაბამისი დიამეტრის პოლიეთილენის მილებით. შედეგად სასმელი წყალი თანაბრად განაწილდება სისტემაში და წყალმომარაგების ქსელით ისარგებლებს რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრები 74 ოჯახი.

პროექტის ღირებულება 25 158 ლარია, სამუშაოები აპრილის პირველ ნახევარში დასრულდება.

თეთრიწყარო

რუსთავის მერის შეხვედრები მოსახლეობასთან

რუსთავის მერი დავით ჯიქია მე-7 მიკრორაიონის NN14, 19, 20 და 21–ე მიკრორაიონების რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეობას შეხვდა. ქალაქის მერი ადგილზე გაეცნო აღნიშნულ მისამართებზე არსებულ პრობლემებს და მოსახლეობას მათ მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

გორი

დავით ჯიქიამ შეხვედრაზე რუსთავში უკვე შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ისაუბრა და ადგილობრივ მცხოვრებლებს იმ პროექტებზეც მიაწოდა ინფორმაცია, რომელთა განხორციელებაც მიმდინარე წელსაა დაგეგმილი. მე-7 და 21-ე მიკრორაიონების მოსახლეობასთან შეხვედრას რუსთავის მერის მოადგილე ნოდარ შეროზია, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ელზა ლეკვეიშვილი და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გორი – საზოგადოებრივი დისკუსია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმა შიდა ქართლში შეხვედრები სოფელ ხურვალეთიდან დაიწყო, სადაც მავთულხლართებს მიღმა მცხოვრებ დავით ვანიშვილს გაესაუბრა. რა საფრთხეების წინაშე დგანან 86 წლის მოხუცი და საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოქალაქეები? როგორ აღიქვამენ ისინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებს და როგორ რეაგირებს ამაზე საქართველოს ხელისუფლება? მაგალითად, დავით ვანიშვილისთვის ყველაზე დიდი საფრთხე თავის ეზოში გამოსვლა და მავთულხლართებს იქით სტუმრებთან გასაუბრებაა, რადგან ამის გამო იგი, შესაძლოა, ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოხვდეს. გარდა ამისა, მას ეკონომიკური პრობლემებიც აწუხებს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, საბჭოს აპარატის თანამშრომლებმა და უსაფრთხოების ექსპერტებმა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსია გორიდან დაიწყეს. გორის უნივერსიტეტში ისინი სტუდენტებს, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის ბოლოს საზოგადოებრივი დისკუსია შეაფასა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, რომლის თქმით, შეხვედრა გორში მისთვის მნიშვნელოვანი იყო – მან პირადად შეიტყო, როგორ აღიქვამენ საფრთხეებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულები.

უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლებსა და ექსპერტებს უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ თავიანთი მოსაზრებები ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმაც გააცნეს. მათი აზრით, აუცილებელია პროცესში მეტი ახალგაზრდის ჩართვა და პირველ რიგში მათი ინფორმირება, საოკუპაციო გამყოფ ხაზთან სხვადასხვა პროექტისა და პროგრამების განხორციელება, რაც ახალგაზრდების განათლებასა და ინფორმირებულობას ხელს შეუწყობს.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გამგებელი დავით ონიაშვილი და უშიშროების საბჭოს მდივანი ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდნენ, შემდეგ კი გვირგვინებით შეამკეს „შინდისის გმირების მემორიალი“ და კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეოცე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ფილმის უამრავი ჩვენება ჩატარდა მოსკოვის კინოს სახლში. ძალიან გვეხმარებოდა ქეთი დოლიძე, მაშინ სულ ახალგაზრდა მხიარული სტუდენტი გოგონა, რომელსაც მოყავდა და მოყავდა უცხოელები. რამდენი მოპატიჟება მიიღო მაშინ ფილმმა და ქართლოსმა ფესტივალებზე - ვერ ჩამოგითვლით. მაგრამ ზემდგომ ინსტანციას, როგორც ჩანს, არ ეძინა და მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეშლოდა ფილმის უცხოეთში გასვლის საქმეს. ჩვენ კი უძლურებისაგან გული გვევსებოდა ბრაზით: ამ ერთი პატარა ფილმით ქართლოსს შეეძლო მსოფლიოს საუკეთესო ფესტივალებზე სტუმრობა, დამეგობრება კოლეგებთან, მიღება პრიზების, მიღება ფილმების დაკვეთებისა და ახალი ფილმების დაწყება...

მაგრამ, გვეყო, გამოვფხიზლდეთ! ჩვენ ხომ საბჭოთა კავშირში ვართ და იმაზეც მადლობა ვთქვათ, რომ, ასე თუ ისე, მაინც გვაქვს ფილმების გადაღების შესაძლებლობა. ამიტომ, ბევრს ნუ ვიწუწუნებთ და, ბოლოსდაბოლოს, ვაკეთოთ ჩვენი ძირითადი საქმე. ამის საშუალებას, ღვთის შეწევნით, კომუნისტები ჯერჯერობით გვაძლევენ და თუ ბევრი „ვიხტუნავეთ“, ამ მცირე შესაძლებლობასაც წაგვართმევენ. თუ მართლა გვიყვარს კინო, გადავიღოთ ამ ცენზურის ზეწოლის ქვეშაც, გადავიღოთ ამ შეზღუდული ბიუჯეტით და ყველა ჩვენს უბედურებას კომუნისტებს ნუ გადავაბრალებთ. მათი სიგლახით ჩვენს სისუსტეს ნუ გავამართლებთ. თუUფილმის გადაღების შნო გაქვს, ამ პირობებშიც გადაიღებ! აი ასე ვმსჯელობდით მაშინ, როცა ქართლოსმა ახალ ფილმზე დაიწყო სერიოზული ფიქრი...

მარსელ კარნესთან შეხვედრამ არაჩვეულებრივად მასტიმულირებელი ზეგავლენა მოახდინა მასზე. ერთ-ერთი შეხვედრის დროს კარნემ საადღეგრძელოში გაახსენა ქართლოსს იესო ქრისტეს იგავი მიწაში ჩაფლული ტალანტის შესახებ და დაამატა: ტალანტში აქ მხოლოდ ფული არ იგულისხმება, ტალანტი პირდაპირ ტალანტადაც უნდა გავიგოთ და აბა შენ იცი, თავსაც მოუარე და ნიჭსაც, არ ჩამარხო მიწაში, არ გაჩერდე, იღე და იღე ფილმები. ღმერთისგან ნაბოძები ნიჭის ხალხისთვის, ანუ ისევ ღმერთისთვის არდაბრუნება ბიბლიური ცოდვააო.

შემდგომში ეს აზრი (ანუ ღმერთმა ბევრი მოგცა და ბევრსაც მოგთხოვსო) მან რამდენჯერმე გაიმეორა, ხოლო ერთხელ კი დაამატა რატომღაც რაღაცნაირი სევდით: საერთოდ, შენში დიდი საიდუმლო დევს, რაღაცნაირი ამოუხსნელი საიდუმლოო... ნუთუ დიდი მაესტრო გრძნობდა რამეს? არ ვიცი. არ არის გამორიცხული. ხელოვან ხალხს ხომ საოცარი წინათგრძნობის უნარი აქვთ. არ მინდა რაიმე ვამტკიცო, მაგრამ ვიტყვი, რომ ერთი-ორჯერ შემთხვევით მოვკარი თვალი მის ქართლოსისკენ მიმართულ ფარულ მზერას. სითბოს გარდა მზერაში იყო კიდევ რაღაც სხვაც. მომეჩვენა, რომ მარსელ კარნეს რატომღაც ეცოდებოდა, თითქოს ენანებოდა ქართლოსი... დამშვიდობებისას ჩაეხუტა და ისე მოეფერა, მამა რომ ეფერება გულზე მიკრულ ორი წლის შვილს. პარიზში დაპატიჟა, „სერენადით“ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა პარიზიდან დავიწყოთო. ამის შემდეგ მარსელ კარნე აღარასოდეს გვინახავს. და ეს მისი ბრალი არ იყო...

როცა მამამ ტელეგადაცემიდან ქართლოსის წარმატების შესახებ შეიტყო, ბავშვური სიხარულით წამოხტა სავარძლიდან. წამოხტა, მაგრამ ტკივილისგან უცბად გაფითრდა - მენისკმა გაახსენა თავი. ტკივილი მალე დაძლია და გახარებულმა ისეთი მთიულური იცეკვა სამოცდაათის გადაცილებულმა კაცმა, სუხიშვილებს შეშურდებოდათ... მამა გამხდარი, მაღალი, ლამაზი გარეგნობის მამაკაცი იყო. თბილისში თავის თაობაში საკმაოდ პოპულარული. სამეგრელოში დაიბადა, ნოქალაქევში. მეგრულად კარგად ლაპარაკობდა. რომ გაბრაზდებოდა, ყველას მეგრულად გვაგინებდა და ასევე, გვეფერებოდა. სამსახიობო სკოლა დაამთავრა და რამდენიმე მთავარი როლი აქვს ნათამაშები. მაგალითად „ნარინჯის ველში“ ნატა ვაჩნაძესთან ერთად თამაშობს - მის საქმროს როლს ასახიერებს.

ახალგაზრდობაში ფეხბურთს თამაშობდა კარგად, მან და ანდრო ჟორდანიამ ფოთში ფეხბურთის გუნდი „შევარდენი” ჩამოაყალიბეს. საქართველოს ნაკრებშიც ყოფილა. თამაშს თავი დაანება ოცი წლისამ - 1922 წელს. მუხლი დაუმსხვრიეს ხარკოვში. მამა ყვებოდა: ისე არაკაცურად, დაუნდობლად მომცელეს, გული წამივიდა მინდორზეო. გონს მხოლოდ გასახდელში მოვედიო. ამ დროს ვიღაცა შემოიტანეს სანიტრებმა და გვერდზე მომიწვინეს გულწასულიო. ჩემი მომცელავი შევიცანი - ანდრო ჟორდანიას არ უპატიებია უსინდისობა და სამაგიერო გადაუხადაო. ანდრო მაშინ ყოფილა... 17 წლის!

„პირველი მენისკი ვარ საქართველოშიო, ხუმრობდა სულ მამა. ერთხელ სპორტის ჩინოვნიკებს განუცხადა სერიოზული გამომეტყველებით - ჩვენს უძველეს ერს ორიდან ერთი მუხლი შევწირე, მენისკის ტრავმა ქართველ ფეხბურთელებში

ტიციან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი

პირველმა მე მივიღე და მოვითხოვ საპატიო დიპლომის მონიჭებას ოქროსასოებიანი წარწერით: „საქართველოს პირველი მენისკი“ და ჩემი მუხლისათვის ძეგლის დადგმას ცენტრალურ სტადიონზეო. ისეთი თავზარდაცემული სახეები, ჩინოვნიკებს რომ გაუხდათ, საშინელებათა ფილმებშიც არ მინახავს. ვერ გაერკვენ, ხუმრობდა ეს დარბაისელი კაცი თუ არა. სხვათაშორის, მამაჩემს ძალზედ მოსწონდა ფრაზა: ყველაზე დიდ სისულელეებს ადამიანები სერიოზული გამომეტყველებით ჩადიანო.

„სერენადის“ წარმატებამ თავბრუ დაგვასხა ყველას. მაშინ ჩვენს გულებში მხოლოდ სიხარული სუფევდა. განსაკუთრებით უხაროდათ მამას მეგობრებს. შვილის წარმატებას მამას ულოცავდნენ კოლაუ ნადირაძე, დავით გამრეკელი, ანდრო ჟორდანია, დავით რონდელი, ტუპია იაშვილი, ზურია ჭაჭიაშვილი, შალვა დემეტრაძე, შალვა გიორგაძე, შერმადინ სიხარულიძე, ბიძინა ღოღობერიძე, ხუხა გაბუნია, ლევან ანჯაფარიძე... ვინ არა! ანდრო ჟორდანია შემოსულისთანავე ჩაეხუტა მამაჩემს და უთხრა: პირველი მენისკი მეორე პლანზე გადავიდა, ამჯერად შვილით იამაყე, ის არის შენი გაუტეხავი მუხლიო. მხიარულება სუფევდა მაშინ ყველას გულებში. დედაჩემი მამას მეგობრებს გადაუგვარებელ ქართველებს უწოდებდა და, თითქოს ვიღაცის ჯიბრზეო, ლოყების აწითლებამდე ამტკიცებდა: ერს ასეთი ადამიანების გაჩენის უნარი როცა აქვს, მას ვერც ვერანაირი უჯიშო გადამთიელი და ვერც ვერანაირი მსოფლიო კომუნიზმი ვერ წააქცევსო.

მართლაც, რა კულტურა, რა განათლება, რა გარეგნობა, როგორი სულიერი დახვეწილობა, როგორი ქართული, როგორი ცოდნა სამშობლოსი, როგორი სიყვარული ღმერთის!.. ეს იყო კომუნისტურ ტერორს სასწაულით გადარჩენილი ხალხი. მართლაც, სულიერი ბირთვი ერისა - ყოველი მათგანი ლიდერი იყო თავის საქმეში. აი პარლამენტი! ასეთი ხალხი რომ იყოს ჩვენს ხელისუფლებაში დღეს, ქართული სახელმწიფოს საქმე ბევრად უკეთ იქნებოდა. წარმოგიდგენთ მამას მხოლოდ რამდენიმე მეგობარს:

კოლაუ ნადირაძე, XX-ე საუკუნის ერთერთი უდიდესი ქართველი პოეტი, შედევრების ავტორი. ვაჟკაცი კაცი: როცა პაოლო იაშვილმა დაასწრო ჯალათებს და ჩეკას ჯურღმულებში წამებას თავის მოკვლა ამჯობინა, მგონი ერთადერთი კაცი იყო კოლაუ, რომელმაც გაბედა და მივიდა თავისი მეგობრის დაკრძალვაზე. კარებს „უშიშროების“ კაცი გადაფარებია. კოლაუს ხელი უკვრია მისთვის, განსვენებულის ოთახში შესულა და მუხლი მოუყრია „ხალხის მტრის“ ცხედრის წინ. იმ მომენტში კაგებეს აგენტებს თვალი აურიდებიათ მათთვის მეტად გამაღიზიანებელი ინციდენტისათვის, ფაქტიურად, - გამოწვევისათვის და არ შეუშლიათ ხელი დაკრძალვისათვის, მაგრამ ამის შემდეგ კოლაუ ყოველდღე დაჭერას ელოდა. მაგრამ, მოხდა საოცრება - ლავრენტი ბერიამ აპატია მას ეს არგაგონილი საქციელი, არ დაიჭირა და თითქოს უთქვამს, კაცურ კაცს პატივი უნდა სცეო. ეს იყო 1937 წელს. არ ვიცი ზუსტად ასე თქვა ბერიამ თუ არა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ პატარა ტანის დიდი პოეტის კოლაუ ნადირაძის გული მთელს ქვეყანას იტევდა, უდიდეს ზნეობრივ დატვირთვებს უძლებდა, და ბოლომდე იცავდა ადამიანურ ღირსებას... არასოდეს მომწყინდება დიდი კოლაუს კითხვა და ციტირება. რად ღირს მისი ლექსი „25 თებერვალი“ (ფრაგმენტები):

თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ
სჭედდა გრდემლი -
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!.
...წითელი დროშით,
მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი,
ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!

ან საოცარი „წიწამურიდან საგურამომდე“ (ფრაგმენტი):

წიწამურიდან საგურამომდე
ეკლიანი და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე
სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე
აშრიალებულ ფოთლების ზღვაა...

ტუპია იაშვილი, დიდი პაოლოს ძმა, განუმეორებელი გიგანტი. ერთხელ მასპინძლობდა ამერიკელ მწერალ ჯონ სტეინბეკს. სტეინბეკი ინტერესით დაყვებოდა მას მგონი მთელს საქართველოში და გამომშვიდობებისას უთქვამს: ბედნიერი ვარ, ჩემი თვალით რომ ვნახე პრომეთეს ქვეყანა, ჩემი თვალით რომ ვნახე ცოცხალი დიონისე. მან გამაგებინა, რას ნიშნავს საქართველო, რა არის ქართული სულიერება და რაშია ქართული სუფრის პეწი, კულტურა და უმაღლესი აკადემიზმი. მე მივხვდი, რას ნიშნავს სინამდვილეში თამადობის მისტერიაო...

ცოცხალი დიონისე დიდმა მწერალმა ტუპია იაშვილს უწოდა.

დავით გამრეკელი. მსოფლიო დონის ბარიტონი. ოპერა ვისაც გაეგებოდა, ამბობდა: დათიკოს სახღვარგარეთ რომ ემღერა, პირველ ბარიტონად იქნებოდა აღიარებულიო, - ტემბრის ასეთი ხავერდი მხოლოდ საუკეთესო იტალიელ მომღერლებში თუ მოიპოვებოდა. როცა გამრეკელს უსმენდი, გეუფლებოდა უმიზეზო ბედნიერების გრძნობა - ამ ხმაში ანგელოზებრივ სრულყოფილებას გრძნობდი... უნიკალური იუმორის პატრონი. მისი და ზურაბ ანჯაფარიძის სახუმარო თავგადასავლებს მრავალსერიანი ტელეფილმიც ვერ დაიტევს...

დავით რონდელი. ქართული კინოს კლასიკოსი. გასაოცარი ტალანტი. უდიდესი ფილმის - „დაკარგული სამოთხის“ რეჟისორი. ყველამ ნახეთ მისი „უგუბზიარა“? 20-იან წლების ეს ფილმი დღესაც გვაოცებს დინამიური გადაღებებითა და კინემატოგრაფიულობით ყოველივე კადრისა. დავით რონდელს მეტი გაგება და დაფასება უნდა - ისევ ჩვენთვის, მომავალი თაობებისათვის. ის მსოფლიო მასშტაბების შემოქმედია... უმდიდრესი ბიბლიოთეკის პატრონს წაკითხული ქონდა ყველაფერი, რაც კი იკითხებოდა. ესმოდა ყველაფერი, რისი გაგებაც შეიძლებოდა... ბოლშევიკებისგან ტანჯვა-წამებას ვერც ის ასცდა. ერთხელ ბერიას გამოუძახებია თავისთან, კაგებეში, და სანამ კაბინეტში მიიღებდა, მრავალი საათი აცდევინა, თურმე, ბნელ და ჩახურულ დერეფანში (ხელოვანი უნდა დააშინო, მისი მოამბოხე სული კი დაიმონო!). როცა გამოსულა, დათიკო რონდელი ვერავის უცვნია - მთლიანად გაჭაღარავებულიყო...

ანდრო ჟორდანია. გაუტეხავი ანდრო. უდიდესი მწვრთნელი საქარ-

ანდრო ჟორდანია

კადრი ფილმიდან „სერენადა“

თველოში. ქართული ფეხბურთის ილია ჭავჭავაძე. აღიარებული გენია. დიდი ფეხბურთელების აღმზრდელი და გზაზე დამყენებელი. ქართული ფეხბურთის სამწვრთნელო მეცნიერების ფუძემდებელი. მთელი ცხოვრება განაწამები - ის ხომ ნოე ჟორდანიას ძმისშვილი იყო. ბიძამისი არასოდეს უნახავს, მაგრამ მაინც დევნიდნენ. დაინიშნებოდა თუ არა რომელიმე გუნდში მთავარ მწვრთნელად და ორ-სამ თვეში გუნდი მკვეთრ აღმასვლას რომ დაიწყებდა, გაიგებდნენ თუ არა ამას „ზემოდ“ - დაუყონებლივ ხსნიდნენ და დაჭერით ემუქრებოდნენ. არაერთხელ უთქვამს, ჩემი დაჭერა, როგორც საშიში ელემენტისა, გადაწყვეტილი იყოო, მაგრამ ლავრენტი ბერიამ გადამარჩინა, ფეხბურთი უყვარდაო... რასაც ვამბობ, ნორმალური კაცისათვის გაუგებარია, მაგრამ, მერწმუნეთ - ასე იყო! წაიკითხეთ ანდროზე ლიტერატურა და მიხვდებით, თუ რა შიზოფრენიული დრო იყო მაშინ და რა დიდი იყო ანდრო.

1955 წელს, მახსოვს, ანდრო ჟორდანია ღამის ორ საათზე მოვიდა ჩვენთან და მამას უბედნიერესი ხმით ახარა, “დინამოს” მთავარ მწვრთნელად ისევ დამნიშნესო. იმ ღამეს შესანიშნავად მოილხინეს. ერთი

დავით გამრეკელი

წლის შემდეგ ანდრო უკვე თავდახრილი ვნახე, თვალებზე ცრემლი შევნიშნე. მაშინ ერთადერთხელ თქვა საკუთარ თავზე: საქართველოში ჩემსავით ფეხბურთი არავინ იცის, მაგრამ არ მეშვებიან, ისევ მომხსნეს, არადა, რამდენის გაკეთება შემიძლიაო. სწორედ მაგიტომ მოგხსნესო, მადლობა თქვი, რომ არ გხვრეტენ და ერთი წელი გაცადეს, ამ დროში ესეც საკმარისიაო, - უთხრა მამამ. შემთხვევითი არ იყო ჟორდანიას ასე შევიწროვება. საშუალება რომ მიეცათ, სუპერგუნდს ჩამოაყალიბებდა და ქართულ სულს ისევ გააღვიძებდა. ანდროს თავადაც აქვს ნათქვამი - არ დაგვაცდიან ნიჭის რეალიზაციასო”.

* * *

არასოდეს დამავიწყდება ეს ხალხი. ლაპარაკობდნენ ყველაფერზე (თემა არ არსებობდა მათთვის უინტერესო ან დაუძლეველი), მაგრამ მთავარი მაინც იყო ერთი რამ: საქართველო და მისი ნანატრი დამოუკიდებლობა. და დროდადრო ამ ხანშიშესული, მრავლის მნახველი ხალხის გულებიდან სასოწარკვეთაც ამოხეთქავდა: ნუთუ თავისუფლება მართლა ასე მიუღწეველია? ნუთუ მთელი ცხოვრება ამ სახელმწიფოში უნდა გავატაროთ? ამ სადამსჯელო ზონაში? ნუთუ ყველაფერი გარეშე ძალების ბრალია? ჩვენ თვითონ ხომ არ ვეძებთ ჩვენსავე დამპყრობს ქვეშეცნეულად? ხომ არ გაგვწირა ღმერთმა საბოლოოდ? ან ღმერთზე ამდენს რომ ვლაპარაკობთ, გვაქვს კი ამის უფლება? მართლა მართლმადიდებლები ვართ, თუ, თამარ მიქელაძის (დედაჩემის) თქმისა არ იყოს, მხოლოდ ვეპრანჭებით ერთმანეთსაც და ღმერთსაც და ნამდვილი რწმენა კი დიდი ხანია დავკარგეთ? რა გვეშველება? ერთხელ, ცუდ ხასიათზე მყოფმა დედამ, რომელსაც აღიზიანებდა სიტყვები „რა გვეშველება“, მოულოდნელად თქვა:

- ის კი ვიცი, ეს სატანის იმპერია შიგნიდან უკვე გამოლპა და ვითომც არ ყოფილა, ისე რომ დაიშლება, უეცრად. მაგრამ არ ვიცი, ჩვენ რა გვეშველება. მერე ვის გადავაბრალებთ ჩვენს უტვინობას. სწორედ მაშინ ვიქნებით’ცოდონი! ღმერთზე ჩვენ არ ვფიქრობთ და საკუთარ სულებზე. დაგვიდია ღიპები და ვწუწუნებთ და ვწუწუნებთ! ცოდვის შეგრძნება დავკარგეთ და ჭიქით ხელში ღვინის ჩახეთქვაში ვეჯიბრებით ერთმანეთს. ყველა უბედურებას კი სხვაში ვეძებთ. ის სხვაც ხომ ჩვენა ვართ და არა ის ვიღაცა „სხვა“!

კაცები მხიარულად შეხვდნენ ამ მკვახე სიტყვებს. მათ სწორად აღიქვეს: ეს ზოგადი ნათქვამი იყო და არც ერთ მათგანს პირადად არ ეხებოდა. ანდრო ჟორდანიამ სიცილით თქვა:

- მეც ვერ ვიტან ამდენ წუწუნს: რა გვეშველება, რა გვეშველება? რა გვეშველება და გვეშველება! აი ამ ბიჭივით, „სერენადაში“ რომ იბრძვის! იბრძვის და არც არავისი ეშინია! მოვიგებთ, თუ ხელს გავანძრევთ და თავს! - მამაჩემმა დაამატა:

- აგრეთვე სხეულის სხვა ნაწილებსაც! გამრავლება გადაარჩენს საქართველოს და არა პანიკა. დაველოდოთ ბოლშევიკების გადაშენებას ასე ორასი-სამასი წელიწადი და მერე რამე მართლაც გვეშველება (სტუმრებს გაეცინათ). მომავალ საქართველოს გაუმარჯოს!

დავით გამრეკელმა „თამარ ქალო“ წამოიწყო. კაცები შეუცდომლად აყვნენ. დედაჩემმა, მივხვდი, გაიფიქრა, მეტი ხომ არ მომივდა, ამ ხალხს ასეთი სიტყვები არაფრით დაუმსახურებიაო და შემრიგებლური ღიმილით მორიგი დოქი ღვინო დაუდო სუფრაზე, მხარზე ხელი მომხვია და ჩურჩულით მითხრა: რა ქნან ამ საცოდავებმა, რა უყონ თავის ნიჭსა და ენერგიას, მხოლოდ სუფრაზე თუ დახარჯავენო. კომუნისტების ხელში ან გულაგში ზიხარ, ან სუფრაზეო... დამოუკიდებლობამდე მართლა არაფერი გვეშველებაო... სუფრის ბოლოდან კოლაუ ნადირაძის („ჩუმად ნეტარი“ უშიშარი კოლაუს) სიტყვები გავიგონე – ანდრეი პლატონოვის გენიას კარგად რომ იცნობდეთ, დაეთანხმებოდით, რომ პესიმიზმი ყველაზე ნოყიერი ნიადაგია ოპტიმიზმისათვისო...

მამაჩემი კი ოთახიდან ოთახში დადიოდა ძველ-მენისკური მიხვრა-მოხვრით (მენისკის ტკივილი განსაკუთრებით ანდრო ჟორდანიასთან უმძაფრდებოდა მკვეთრად რატომღაც), ხელში „სერენადის“ პრიზი ეკავა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორით, ვითომ თავისთვის, მაგრამ, ყველას გასაგონად, ამბობდა კმაყოფილი სახით:

- ხოტივარები, ბატონო, ხოტივარები! პრიზია ჩვენთვის მთავარი?? რომელი პრიზით უნდა დააჯილდოვო ჩვენი უძველესი წარმომავლობა? ჩვენ მოულოდნელად გადმოვბარგდით შუა საუკუნეებიდან და ამიტომ, თვითონ ვართ ყველასთვის პრიზიცა და ფასდაუდებელი საჩუქარიც!

მართლაც ვერ მიხვდებოდი, ხუმრობდა ეს კაცი თუ არა, მხოლოდ ახლო მეგობრები ხითხითებდნენ. მამა ამას უფრო მიქელაძეების გასაგონად ამბობდა, თუმცა თავისი გვარით მართლაც ამაყობდა: რაჭველები ვართ წარმოშობით, ხოტევიდან. მართალია უკვე 200 წელია იქ აღარ ვართ, მაგრამ გვახსოვს, რომ ხოტევი დავაარსეთ ხოტივარებმა, ლაზეთიდან როცა გამოვედით შუა საუკუნეებში ლაზური ხოტევიდან. დღესაც არსებობს ლაზისტანში ჩვენი ძველი ხოტევი, ახლა კი თურქებმა რაღაც სხვა სახელი დაარქვესო.

ხელში ეჭირა აკაკი შანიძის „ქართული ენის სტრუქტურებისა და ისტორიის საკითხები”, სადაც დიდი მეცნიერი ირკვევს ვინაობის სუფიქსის საკითხებს და ადგენს, რომ სუფიქსი „არი” პროფესიის (მაგალითად - ამილახვარი) ან სადაურობის მაჩვენებელია უძველეს ქართულში. ხოტივარი ხოტეველს ნიშნავს, ოპიზარი - ოპიზელს, ოდიშარი - ოდიშელს, ხუნწარი - ხუნწელს. მამას თავი მოქონდა ამით და ყველას უხსნიდა, რომ ხოტივარი უძველესი, სულ ცოტა, XI-ე საუკუნის გვარიაო. გინდა აბულ ხოტრის ძე, გინდა იოვანე ბანელი ხარტულარი, გინდა სამძივარები (თამარ მეფის დიპლომატის, კრავაი ჯაყელის ქმარ-შვილი) ჩვენი წინაპრები იყვნენო. სიტყვა ხოტი (ხვატი) კი ლაზურად, სიმხურვალესა და ცეკვას ნიშნავს ერთდროულადო, მოცეკვავეთა ანუ ხელოვანთა გვარი ვიყავით იმთავითვე ლაზეთშიცა და რაჭაშიცო.

აბა რას ნიშნავს, ბატონებო, „ჭიჭე გორგონჯიების ხოტება“ ლაზურმეგრულად? თვითონვე პასუხობდა რუსულად: „Танец маленьких лебедей“. აი ესპანურადაც ხოტა (ჟოტა, არაგონულად – ჰოტა, ნახტომი, ხტუნვა) უძველესი ცეკვაა. არაგონელებიც ხომ იბერიელები არიან წარმომავლობითო.

- ბატონებო, მეგრელივით ყველაფერს ვხედავ და რაჭველივით ვერაფერს ვაკეთებ. ჩემი პასიურობის მიზეზი ამ ბოლშევიკურ გარემოში არის ჩემი გვარის კეთილშობილება და დედაჩემის - მარიამ თურქიას - მეგრულ-არისტოკრატული ჩამომავლობა. ამიტომ ვართ ხოტივარები ის, რაცა ვართო!

(გაგრძელება იქნება)

მე ვარ მანუჩარ დოლბაძე
და ვეძებ ჩემს
ბიოლოგიურ მშობლებს.
ერთადერთი რაც ვიცი,
ის არის, რომ წყნეთის
ბავშვთა სახლიდან
წამომიყვანეს, დაახლოებით,
1988-1989 წლებში.
გთხოვთ, თუ ვინმეს
რაიმე ინფორმაცია
გაქვთ, გამომეხმაურეთ.

მანუჩარ დოლბაძე
ტელ. 2 34 28 97
593 56-11-18

გიჟების მიერ მართული მსოფლიო და სერბეთის მაფია

ძლიერნი ამა მსოფლიოსი გვეუბნებიან, რომ ტერორიზმი უნდა აღმოიფხვრას და მას თვით წარმოშობენ! ატომური იარაღი უნდა მოისპოსო და თვითვე ფლობენ მას. დიქტატურებიც უნდა მოისპონო და თვითვე არიან დიქტატორები! მშვიდობა გვინდაო და ომებს აჩაღებენ! ადამიანის უფლებებისთვის ვიბრძვითო და თვითვე სპობენ მას.

ჯონ ლენონი ამბობდა: „ჩვენი დღევანდელი საზოგადოება იმართება შეშლილებისგან შეშლილი მიზნებისათვის. ვფიქრობ, ჩვენ ვიმართებით გიჟების მიერ გიჟური დასასრულისაკენ და მე მჯერა, რომ დამიჭერენ როგორც გიჟს, რადგან მე ამას ვამბობ. სწორედ ეს არის გიჟური“. და ეს ყველაფერი ხდება ფულისათვის და ეს ფული დღემდის ანათებს დედამიწაზე არსებულ ჯოჯოხეთს.

1991 წელს სერბების მიერ

დაპყრობითი ომის მომზადება შეუძლებელი იყო მოსკოვისა და ბუშის ადმინისტარციის მხარდაჭერის გარეშე. მაშინდელმა სრულუფლებიანმა საგარეო მინისტრმა და ფირმა “კისინჯერის ასოციაციის” გამოჩენილმა პარტნიორმა ლოურენს იგლბერგერმა, კისინჯერის ასოციაციის მეორე პარტნიორთან, “ლორდ ქერიტნგტონთან” ერთად, ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ბელგრადმა ეთნიკური წმენდისა და ხალხის მასობრივი განადგურების განუსაზღვრელი უფლება მიიღო. ამავე დროს მიმდინარეობდა ამ ომის მექანიზმების დაფინანსება ბელგრადში მასობრივად და არალეგალურად შემომავალი ფულით, რათა შესძლებოდა დაეფარა თვისი დანახარჯები იარაღის იმპორტზე, ნავთობსა და სხვა პროდუქტებზე. ბოლო წლების განმავლობაში ბელგრადის კერძო ბანკებმა ყველა განაცვიფრა თავისი ფინანსური მაქინაციებით და წლიური ინფლაციის სახით დინარებში შეტანილ 200%-იანი ანაბრების მოთხოვნით, რამაც სულ 25 000%-ს მიაღწია. მძიმე უმუშევრობისა და დიდი რაოდენობით უშემოსავლო ხალხის ფონზე ასეთი პროცენტიანი განაკვეთი წარმოადგენდა პოლიტიკურ ტრიუკს, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკური სირთულეების მქონე მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილების დასაშოშმინებლად. ამის შესახებ ერთ-ერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა: “აქ ვიღაცა სოციალური უზრუნველყოფის ფარულ სისტემას აფინანსებსო”. მალე გამოაშკარავდა ამ პრაქტიკის ერთ-ერთი ასპექტი, თანაც იმის შემეგ, რაც 1993 წლის მარტში ბელგარადელი ბანკირი “ეოდომირ ვასილევიჩი”, “იუგო-სკანდივ ბანკის” დირექტორი, ისრაელში გადასახლდა. პრესის განცადებით ამ ბანკში იყო 4 მილიონი ანგარიშის სავალუტო ანაბარი. საერთო თანხა პრაქტკულად 2 მილიარდ ამერიკულ დოლარს წამოადგენდა. საიდან გაჩნდა ამდენი ფული? ომამდე იუგოსლავიაში ჰყვაოდა ტურისტული ბიზნესი და შეიარაღების ინდუსტრია, რომელიც ძირითადად საექსპერტო მსუბუქ იარაღებს აწარმოებდა. მაგრამ 14 მილიარდი ამერიკული დოლარის დავალიანების ზუსტი დაბრუნების შემდეგ, ქვეყანაში არც თუ ისე ბევრი დარჩა. ტურიზმი იმ დროისთვის მოუძლურდა, ხოლო იარაღის წარმოებამ ორიენტაცია შეიცვალა. იგი უკვე ომს ემსახურებოდა.

ამასთან ერთად, სერბეთის მთავრობა უეჭველად შემოსავალს იღებდა დაპყრობილი ტერიტორიის სამხედრო ნადავლიდან. მაგრამ ეს, მოთხოვნებთან შედარებით, სრულიად უმნიშვნელო იყო. რუსეთიდან იარაღისა და ნავთობის მიღება, როგორც წესი, დამყარებული იყო დაუყოვნებლივ გადახდაზე. დასავლეთის ნავთობი, მაგალითად, ბერძნულ ქალაქ თესალონიკში, არსებული “მობილ-ოილ-რაფინერიდან” ქვეყანაში შემოდის შავი ბაზრის ფასებით, რაც ხანდახან ამეტებს საბაზრო ფასებს 400%-ით.

ბელგრადი მონაწილეობს ნარკოტიკების ვაჭრობაში, რომელიც ბალკანეთით შემოდის, ამის გამო მან მიაღწია ფულის გათეთრების ოფშორულ სისტემაში მონაწილეობას. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ საახსრების შოვნის სათავეც. გარდა ამისა, ფინანსური შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დასავლეთ ევროპაში მოქმედი “სერბეთის მაფია”, რომელსაც ბელგრადიდან ხელმძღვანელობენ. ბელგრდაში არსებობს ე. წ. ბინის ქრუდების სკოლა, რომელსაც სერბეთის სადაზვერვო სამსახური მფარველობს. ამ სკოლის კურსადმთავრებულები ნაწილდებიან მთელს ევროპაში. მათი დახმარებით ნაქურდალი გადადის დამფარავთა კარგად ორგანიზებულ ქსელში. მიუხედავად ამისა, ძნელი წარმოსადგენია ფულის შოვნის ამგვარი წყარო შეიძლება საკმარისი იყოს სერბების მიერ ომში გაღებული ხარჯების დასაფარად. იქნებ გავიხსენოთ, რომ დასავლეთ ევროპის ნარკოტიკების ბაზარზე სერბთა მაფია თანდათან მზარდ მნიშნელობას იძენს.

კომენტატორები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ “იუგოსკანდიკისა” და მისი მთავარი კონკურეტნის, “ბანკ ლაფონტენის” მოქმედებას მრავალგვარი ინვესტიციური თაღლითობებით, რის გამოც, ჩვეულებრივ, მაღალი პროცენტების დაპირებისას, ხალხს უფრო მეტის გადახდა უწევდა უძრავ და სხვა საკუთრებაზე.

საერთაშორისო კაპიტალის მხურვალე ფინანსურ ბაზარზე პატარა სერბეთმა მსხვილი მოთამაშეები კუთხეში მიამწყვდია. მაგრამ ამ ფულის ნაკადს სერბეთი თვით კი არ განგებს, არამედ მისით მხოლოდ სარგებლობს. ასე რომ, მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს პროცედურები ან აფშორული არხები, რომლის საშუალებითაც ბანკირები ქვეყნის შიგნით, ბელგრადში, სათანადო გადასახადისგან თავისუფლდებიან, რათა ნაწილობრივ მაინც გაათეთრონ ნარკოტიკების საერთაშორისო ვაჭრობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი. ამისთვის ბელგრადი ძალზე მოხერხებულია. სტანდარტული პრცენტული გადასახადი ფულის გათეთრებაზე მერყეობს 3-დან 7%-მდე. მაგრამ იმ გიგანტური თანხების შემთხვევაში, რომელიც მსოფლიო ნარკოტიკულ ბაზრზე ტრიალებს, ვაჭრებს სავსებით შეუძლიათ, ყოველგვარი წუხილის გარეშე, დაკარგონ 30%.

ბელგრადში “დაფიმენტ ბანკის” აქციონერია “ისრაილ კელმანი” თელავივიდან, რომელიც აქციების 25% ფლობს, ვასილევიჩი “იუგოსკანდიკიდან” თელავივში გადასახლდა, რაც ამტკიცებს იმას, რომ სწორედ მას შეუძლია შეასრულოს მთავარი როლი ომის დაფინანსების ტექნიკაში, რომელიც ინგლისელებმა და ამერიკელებმა დაამუშავეს.

თავის დროზე ამგვარადვე იხსნეს თავი გაკოტრებისგან ამერიკის ბანკებმა ლათინოამერიკული დავალიანებისას. 1982 წელს ნარკოტიკების გაყიდვის შედეგად მათ დიდძალი შემოსავლები მიიღეს. ყოველივე ამას არაფერი აკავშირებს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკასთან. გერმანული პოლიციის მონაცემების მიხედვით, გერმანიის ტერიტორიაზე სერბი მაფიოზების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციებით გამოირკვა, რომ ბელგრადი პოლიციასთან არ თანამშრომლობს და შვეიცარიაზე უფრო მოსახრხებელ ადგილს წარმოადგენს ფულის გასათეთრებლად. კვიპროსი, კი როგორც საბანკო აქტიურობის მაღალგანვითარებული ოფშორული ცენტრი, ყველაზე მნიშვნელოვანი საოპერაციო ბაზაა ბელგრადელი ბანკირებისთვის.

სამხედრო დაფინანსების აშკარა წარმატაბა, რომელის სქემაც დამუშვებული იყო იმ საფინანსო წარმომადგენელების ინტერესების გათავლისწინებით, რომლებიც “იგლბერგერისა” და “ქარინგტონის” (300-კომიტეტის) ზურგს უკან იდგნენ, შედეგია არა მკაცრი გასაიდუმლოებისა, არამედ დასავლეთის უმოქმედობისა. მას შემდეგ, რაც ბელგრადის ბანკები განიცდიდნენ დაკვირვებას წელიწადნახევრის განმავლობაში, ყველასთვის, მათ შორის დიპლომატებისთვისაც ნათელი გახდა, რომ იქ რაღაც ისე არ იყო, როგორც საჭიროა. კვიპროსის ბანკების წარმომადგენლების შესახებაც ცნობილი იყო, მაგრამ არააფერი არ კეთდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციები ვერცლდებოდა სერბეთისკენ მიმავალ ფინანსურ გზავნილებზეც. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ სამედიცინო და ჰუმანიტერული მიზნის გზავნილები. მხოლოდ 1993 წლის აპრილში დათანმხდა გაეროს სანქციების კომიტეტი დაეშვათ კვპროსის მთავრობის მოთხოვნები კონსულტაციებზე, რომლებიც სერბეთის საბანკო კავშირებს ეხებოდა. წარმოდგენილი იქნა “უმწირესი კონკრეტული ინფორმაცია”.

ბანკირმა ვასილევიჩმა საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, ავსტრალიაში, 15-20 წელი იცხოვრა. ვარგარეთ, სავარაუდოდ, ავსტრალიაში, 15-20 წელი იცხოვრა. იგი ცნობილი იყო თავისი გარიგებებით შორეული აღმოსავლეთის ომებთან შეხების მქონე რეგიონებში. შესაძლებელია სწორედ ის იყოს “თეოდორ შეკლის” კიდევ ერთი ძველი მეგობარი.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

ცარიელი სამარხი

აღდგომის მნიშვნელოვანი ელემენტი ის უწყებაა, რომ დალუქული საფლავი გაიღო, ვიღაცამ ლოდი გადააგორა. კვირის პირველ დღეს, Aადრიან დილას, მრავალი ადამიანი იყო მოწმე იმისა, რომ საფლავი აღარ იყო დაკეტილი და სულაც, ცარიელი იყო. ვის შეეძლო ტონიანი ლოდის შეუმჩნევლად გადაგორება იმდენი მცველის Yთვალწინ?

ოთხივე სახარება ამბობს, რომ სამარხი ცარიელი იყო; მღვდელმთავართა გუშაგები ამბობენ, რომ სამარხი ცარიელი იყო; იესოს რამდენიმე მოციქულმა ნახა, რომ სამარხი ცარიელი იყო... პოლ ლითლის მტკიცებით, რომელიც ყველა არგუმენტს განიხილავს, „ერთადერთი თეორია, რომელიც ადექვატურად ახსნის ცარიელი სამარხის საკითხს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაა.“

წმინდა წერილებში არანაკლებ თორმეტი ფაქტია მოხსენიებული როცა იესო ადამიანებს გამოეცხადა თუ ამ რიცხვში მივათვლით იესოს შეხვედრას სავლესთან (პავლესთან) და თუ მარიამის დამოწმებას გამოვყოფთ სხვა ქალების დამოწმებისგან, რომელთაც იესო საფლავისკენ მიმავალ გზაზე გამოეცხადა.

მასში აღარ იყო იქ დაკრძალული ადამიანის სხეული

ბოქი, რომელზეც მიბმული ჰყავდათ მაცხოვარი და ეოლტებით სცემდენ. მარმარილოზე ჟურის მიდებისას ისმის ეშესაბამისი ხმა

იესოს გამოცხადების თანმიმდევრობა: 1. გამოეცხადა მარიამს რომელიც საფლავთან მივიდა პეტრესა და იოანეს წამოსვლის შემდეგ 2. სხვა ქალს რომელსაც იესო გზაზე შეხვდა 3. მოწაფეებს ემაუსის გზაზე 4. სიმონ პეტრეს 5. ათ მოციქულს 6. თერთმეტ მოციქულს 7. მოციქულებს ტიბერიის ზღვასთან 8. მოციქულებს გალილეის მთაზე 9. ერთდროულად, დაახლოებით, ხუთიათას მორწმუნე ძმას 10. იაკობს 11. მოციქულებს ამაღლების მთაზე 12. პავლეს.

ჰენრი თეისენი წერს: სამი რამ არის აუცილებელი მოწმობის სანდოობისთვის: მოწმეები უნდა იყვნენ კომპეტენტური თვითმხილველი მოწმეები; მათი რიცხვი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის; თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია. არიან თუ არ არიან ჩამოთვლილი მოწმეები ასეთები? ჩამოთვლილი მოწმეები სიზუსტით ამბობდნენ, რომ ისინი ესწრებოდნენ და ხედავდნენ ყველაფერს საკუთარი თვალებით. ისინი ამტკიცებენ, რომ მათი ინფორმაცია არ იყო სხვისგან მოსმენილი. ისინი საკმაო რაოდენობით იყვნენ და მრავალი სხვა ეპიზოდი. ერთ-ერთ ეპიზოდში, აღმდგარი ქრისტე ხუთასზე მეტ ადამიანს გამოეცხადა. ამასთანავე, იესო მათ ეჩვენებოდა სხვადასხვა დროსა და ადგილზე და სხვადასხვა პიროვნებებს.

არგუმენტი, რომელიც ქრისტიანობის კრიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ თავად ისტორიის მტკიცებულებაა. იესოს აღდგომიდან რამდენიმე აშკარა შედეგი გამოვლინდა რომელთა ახსნა სხვა მიზეზით შეუძლებელია, იესოს ნაწინასწარმეტყველები მართლაც აღსრულდა, რაც მისი აღდგომის გარეშე არ მოხდებოდა. ეს კავშირი განსაკუთრებით აღნიშნულია (საქმეთა 2:32-55) („აპოლოგეტიკა“)

რატომ იყო მნიშვნელოვანი რომ მოკლედ გაგვეხსენებინა მაცხოვრის გარდაცვალება და მისი უეჭველი აღდომა, კიდევ ერთხელ გახდება ნათელი.

ალეკო ცინცაძე (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): — „ბიბლია რომ ებრაელთა ხელთ აღმოჩნდა, ეს რეალობაა, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ რჩეული ერობის უფლება მიიღეს იმით, რომ ისინი არიან ნაშობნი ქალდეველთანი, ანუ მესხური ტომების, ქალდეველების შვილები არიან.

სარწმუნოება სწორედ ქალდეაში დაგროვილი სულიერი იმპულსების გარდასახვაა, იქიდან წამოვიდა ეს ყველაფერი, ამიტომ ეს განსაკუთრებული მოვლენაა, მაგრამ იმ ხალხებმა უნდა იცოდნენ, რომ ამის სათავეებთან, რბილად რომ ვთქვათ, სხვა ხალხი იდგა. ბიბლიიდან გამომდინარე, ქალდეასთან ქრისტეს კავშირი ნამდვილად იკვეთება. იესო ქრისტე სულიერად იმ ველის შვილია და ჩამოყალიბდა იმ ველში, რომელიც ქალდეურ კულტურაზეა დაფუძნებული, სწორედ ამიტომ არ სცნეს იგი ებრაელებმა...

იმ მათემატიკურ-ასტრონომიულ მეთოდზე დაყრდნობით, რასაც ჰემატრია ჰქვია და ბიბლიის გაშიფვრის ერთ-ერთი მეთოდია, ერთმნიშვნელოვნად დავამტკიცე, რომ მინიმუმ ძვ. წ. აღ-ის ათასი წლისათვის ქართული ანბანი უკვე არსებობდა. როგორც წესი, ასეთი კვლევები ისტორიკოსთა ყურადღების მიღმა რჩება და ამას რეაქცია არ მოჰყოლია, მაგრამ გრაკლიანის აღმოჩენამ, ასევე, ამერიკული საექსპერტო ბიუროს მიერ მისმა დათარიღებამ ჩვენი მეთოდის სიზუსტე დაადასტურა. ეს მაშინ, როცა ქართველი ისტორიკოსების მიერ გამოქვეყნებულ შრომებში ქართული ანბანის შექმნის თარიღად მითითებულია ის პერიოდი, როცა ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები აღმოჩნდა, ანუ ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნე.

არავითარ ნიმუშთან შეხება მე არ მქონია, მაგრამ ჰემატრიის მეთოდით გამოვიკვლიე ტოპონიმი „გრაკალი“ და აქ გამოჩნდა ორი მნიშვნელოვანი სიმბოლო, ერთი — ქურუმთა სიმბოლო და მეორე — ძე ღმერთის სიმბოლო, ანუ ზუსტად გამოჩნდა ის, რაც არქეოლოგებმა შემდეგ არტეფაქტებით დაადასტურეს, რომ იქ მზის თაყვანისმცემელ ქურუმთა შესაკრებელი ტაძარი უნდა ყოფილიყო.

ეს მეთოდი ჩვენი მოგონილი არ გახლავთ, ეს ბიბლიის გაშიფვრის მეთოდია და ვერანაირად ვერ იქნებოდა ეფექტური, ვერ იმუშავებდა, თუ ქართული ანბანური სისტემა მთლიანად ჩამოყალიბებული არ იყო, ანუ თუკი არ გვექნებოდა ანბანის განლაგების რიგი, ნომრები, სახელდებები და ა.შ

ამდენად, რადგან ტოპონიმ „გრაკალში“ ეს ყველაფერი აღმოჩნდა, ეს უკვე ცხადად მიანიშნებს მისი შექმნის პერიოდს — ეს არის ძვ. წ. აღ-ის ათასი წლის დასაწყისი. ამ პერიოდშია ტოპონიმი „გრაკალი“ შექმნილი და ამ პერიოდში ქართული ანბანი სრულყოფილად ჩამოყალიბებულია. ამის შემდეგ სისტემას ცვლილება არ განუცდია, შეიცვალა მხოლოდ გრაფიკული მოხაზულობა და ქართული ანბანიც სამი სხვადასხვა მიმართულებით წავიდა — ჩვენ გვაქვს მხედრული, ხუცური და ასომთავრული ანბანი.

ისმის კითხვა: რატომ უნდა გააჩნდეს ბიბლიის გაშიფვრის მეთოდი იმ ხალხის ენობრივ ჯგუფს, რომელსაც ბიბლია არ შუქმნია? — წესით, ასეთ ხალხებს ბიბლიის გაშიფვრის მეთოდი არ უნდა ჰქონდეთ, ეს უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ბიბლიის დამწერ ხალხებს, ბერძნებს, ლათინებსა და ებრაელებს, ამ დროს კი ეს მეთოდი ფიქსირდება ჩვენში.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ბიბლიის დაწერის სათავეებთან ვიდექით. როგორც ჩანს, მართალი იყო ნიკო მარი, რომელიც ვარაუდობდა, რომ ბიბლიის პირველი ხუთი თავის დაწერაში ქართველური ხალხები მონაწილეობდნენ.

(საინტერესოა, ბიბლიის რომელ პირველ ხუთ თავზეა საუბარი, დაკარგულ თუ მოპარულ კოლხურ სიბრძნის წიგნზე ხომ არა, რომელიც სულ მცირე 4 000 წლით უსწრებდა ბიბლიას და შედგებოდა სწორედ ხუთი წიგნისგან: „ეფუთი“, „მარგალითი“, „ტოფშა“, „ტაბუ“ და „ოქროს საწმისი“, იგივე კვიბრიზე ხომ არა? — ავტ)

ქალდეველები, ხეთები, ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მუშქები — გენეტიკურად ქართულ გენში ვერ შევალ, მაგრამ ესენი იყვნენ მესხური წარმოშობის ხალხები, რომლებიც უკვე II ათასწლეულის შუა წლებში ჩანან შუამდინარეთში. ჯერ ეგვიპტეში ლაშქრობენ, მერე, უკან იხევენ და მითანის სახელმწიფოს აყალიბებენ, შემდეგ კაბადოკიის გავლით ამოდიან საქართველოში. რა თქმა უნდა, ისინი მონაწილეობდნენ იმ პროცესებში, რასაც ქალდეა ჰქვია. სწორედ ეს სახელმწიფოები: მითანი, იბერია, ქალდეა და არიელი ერთსა და იმავე რიცხვით სიმბოლოს იძლევა ქართული ჰემატრიის გამოყენებით — ეს ნიშნავს, რომ ისინი სწორედ ერთიან საფუძველზე იდგნენ. გენეტიკურად რამდენად ერთნი იყვნენ, ეს მეორე საკითხია, მთავარია, რომ ცნობიერად ისინი ერთნი გახლდნენ. გარდა ამისა, ტოპონიმიდან გამომდინარე, ეს დაუკავშირდა გრაალის თემას, რადგან გრაკალის ტერიტორიაზე არსებობდა ციხე იასპი და იასპი ჰქვია ქვას რომლითაც გრაალის თასი დაამზადეს.

„გრაკალი“ ძველქართულად ნიშნავს „რკალს“. რკალი ახალშობილი მთვარის სიმბოლო გახლავთ, აქედან გადადის და ყრმა იესოს სიმბოლო ხდება. რკალი, როგორც გრაფიკული გამოსახულება, თასის სიმბოლოცაა, ამდენად, გრაკალი დაკავშირებული აღმოჩნდა გრაალთან. სხვათაშორის, იმდენად საინტერესოა გრაკალის ტოპონიმი, რომ ის ჯერ კიდევ აკაკი შანიძემ გამოიკვლია, რადგან ქართულში ის ნიშნავდა რკალს, რგოლს.

მითანის სახელმწიფო, ეს იყო იბერიული ხალხების განსახლების ერთ-ერთი მოწინავე ფორპოსტი, ისევე, როგორც ქალდეა.

ქალდეა იყო ბაბილონის ერთ-ერთი კუთხეთაგანი. ჩვ. წ. აღ-ის მე-6 საუკუნის ბაბილონის აღზევება უკავშირდება ნაბუქოდონოსორის სახელს. ამ პერიოდს უწოდებენ კიდეც ქალდეურ პერიოდს. თვით ნაბუქოდონოსორიც ქალდეველი გახლდათ და ის ბიბლიური ამბები, რომლებიც ქალდეაში მოხდა, დაკავშირებული იყო ამ ხალხებთან. მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის, ანბანმცოდნეობისა და საერთოდ, მეცნიერების პირველსაწყისები სწორედ ქალდეას უკავშირდება და იქ აღმოჩენილ თიხის ფირფიტებზე იშიფრება ეს ყველაფერი — მსოფლიო მეცნიერებაში საკამათოც არ არის ის, რომ ამ საფუძვლებთან ქალდეველები იდგნენ. ჯერ კიდევ კირიონიდან დაწყებული, მიხაკო წერეთლით და ზვიად გამსახურდიათი დამთავრებული, მიიჩნევდნენ რომ ქალდეველები ქართველური ხალხია, ახლა მათემატიკურადაც დამტკიცდა იგივე.

(გაგრძელება იქნება)

სჰკ „კათარზისის“ 2015 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, ფინანსური ანგარიში და ბალანსი

პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ის, რითაც ჩვენ ყოველდღიურად ვართ დაკავებული, ანუ სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

სისტემატიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, წინასწარი სამედიცინო დათვალიერების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური, კაფე, ბიბლიოთეკა, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებგვერდზე, მისამართზე: Catharsis.ge

ორგანიზაციას აქვს თავისი პატარა სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე, სადაც იმ ადამიანთა დაკრძალვა ხდება, ვინც ბოლო მიწიერ საქმეშიც ღვთის ანაბრად არიან დარჩენილნი.

სამადლო სასადილო თბილისში ყოველდღიურად 310 ადამიანს ემსახურება; 13 ხანდაზმული ქალბატონი თავშესაფარშია განთავსებული; 23 მწოლიარეს ყოველთვიურად მიეწოდება ბინაზე მშრალი პროდუქტები.

უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს სასადილოს მომსახურებით, აგრეთვე სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს.

ხანდაზმულთა გუნდი, საესტრადო თუ სხვა ჯგუფები და ნოსტალგიის თეატრი, ადგილობრივი ძალებითაა ჩამოყალიბებული. გართობა-დასვენების სამსახურები, ანუ ის ადგილები, სადაც ტალანტების გამოვლენა ხდება, ჩვენი ინვალიდებისა და მოხუცების სუსტი წერტილია.

ტანსაცმლის შეკეთების სამსახური მარტივ საქმეებზეა ორიენტირებული; ღილების დაკერება, ელვა შესაკრავის შეცვლა, სამოსის დაგრძელება-დამოკლება და სხვა მსგავსი სამუშაოები, რაც ძირითადად ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულნი არიან.

ჩვენი სამლოცველოს ოთხივე კედელი და ჭერი შესრულებულია თანამედროვე ხატმწერების მერაბ ჩაკვეტაძისა და დავით ხიდაშელის მიერ. ხატწერაში დაცულია მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა კანონიკური მოთხოვნა. სამლოცველოში ორ კვირაში ერთხელ იმართება ლოცვები. სამლოცველო აკურთხა საქართველოს ეკლესიის მეთაურმა ილია II-ემ.

„კათარზისში“ გახსნილია ქალთა თავშესაფარი მათთვის, ვისაც არსად წასასვლელი არა აქვს. დღეისათვის გვყავს 13 ხანდაზმული. მათი სამჯერადი კვება, საექიმო თუ ყველა სხვა მომსახურება, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი სამსახური „კათარზისში“, უფასოა.

პროექტები: „წლის ბებია-ბაბუა – 2016“

2016 წლის 5 იანვარს, ჩატარდა ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიასა“ და „ ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად. ხანდაზმულები, რომლებმაც გაიარეს შესარჩევი ტური, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ცეკვასა და სიმღერაში.

ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები; წლის „ბებია-2016“ გახდა ლიდა მაისურაძე, ხოლო „ბაბუა-2016“ - ტრისტან კვატაშიძე. კონკურსში გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები.

ღონისძიებას თვალყურს ადევნებდა „კათარზისში“ მოსული ყველა მსურველი მათთვის სპეციალურად მოწყობილ მონიტორებზე.

„სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“. პროექტის მიზანია დავაპუროთ ყველა ის ადამიანი, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“, რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2016 წელს 8 (რვა) ასეთი აქცია ჩატარდა. ტრადიციულად, დაიწყო 7 იანვარს, ხოლო შემდეგი ღონისძიებები ასეთი თანმიმდევრობით გაიმართა: 14 იანვარი – ძველით ახალი წელი, 19 იანვარი - „ნათლისღება“, აღდგომა - 1 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი, 28 აგვისტო - „მარიამობა“, 14 ნოემბერი და 19 დეკემბერი - „ნიკოლოზობა.“

„შეეწიეთ უპოვართ“

მთელი წლის განმავლობაში კვლავ მიმდინარეობდა პროექტი „შეეწიეთ უპოვართ“, რომელიც „კათარზისის“ 310 ბენეფიციარისათვის უფასო სადილის დაფინანსებას ითვალისწინებს. ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით სპონსორის სურვილის შესაბამისად (ერთ ადამიანზე ერთი ლარის და 25 თეთრი გათვალისწინებით) ხორციელდებოდა 1 დღიანი (385 ლ.), 2 დღიანი (770 ლ.) დ ა. შ. ხანგრძლივობის პროექტები, რაც ჩვენი ხანდაზმულების სადილებს ნოყიერს, კალორიულს და გემრიელს ხდის.

იუბილეები

კვლავ განვაგრძობთ ხანდაზმულთათვის იუბილეების აღნიშვნას. ყველა მოხუცს, რომელსაც მრგვალი თარიღი უსრულდება, ვუწყობთ სამახსოვრო საღამოს და ვასაჩუქრებთ ფულადი პრემიით - 100 ლარის ოდენობით.

სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური

სარეაბილიტაციო-სავარჯოშო დარბაზი, უაღრესად მნიშვნელოვანი სამსახურია ხანდაზმულებისათვის, როგორც სხვადასხვა დაავადებების პრევენციის, ისე უკვე გადატანილი მძიმე დაავადებების: ინფაქტის, ინსულტის, ხერხემლის პათოლოგიების და ა.შ. რეაბილიტაციისთვის, რისი ფინანსური შესაძლებლობა მოსახლეობის ამ კატეგორიას არ გააჩნია და არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული. კვალიფიციური სპეციალისტი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობისათვის შესატყვის ვარჯიშებს, ხოლო სათნოების ძმები ეხმარებიან მათ ამ რეკომენდაციების სწორად განხორციელებაში. ყოველდღიურად მუშაობს მასაჟისტი.

კაფე

კაფის სახით გვაქვს ბენეფიციარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი და სასურველი ადგილი - მას ყოველდღიურად 230-მდე ხანდახმული სტუმრობს. ვინაიდან 310-ზე მეტი ადამიანი მთელ დღეს ჩვენთან ატარებს, მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ისეთი ადგილად იქცა, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, აღნიშნონ დაბადების დღეები და სხვადასხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, გამართონ შეხვედრები, მიიღონ სტუმრები და ა.შ.

კონცერტები და სპექტაკლები

2016 წელს „კათარზისის“ ხანდაზმულთა ნოსტალგიის თეატრი სისტემატიურად სთავაზობდა მაყურებლს სპექტაკლებს (შიდას და გასვლითს, სულ 18-ჯერ): „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ხანუმა“, „გამოკეტილი ჭიშკარი“. ლიტერატურულ სალონში „საპოვნელა“, რომელიც შექმნილია „კათარზისის“ ბიბლიოთეკის ბაზაზე, ჩატარდა ცხრა პოეზიის საღამო. კვლავინდებურად საკონცერტო ღონისძიებებით აღვნიშნავდით დღესასწაულებს (სულ 16 ღონისძიება).

„კათარზისს“ ეწვივნენ და ჩვენს ბენეფიციარებს საკონცერტო პროგრამები შესთავაზეს თბილისის მე-24-ე, 207-ე, მე-8, 53-ე და სხვა სკოლების მოსწავლეებმა (სულ -11 სკოლა). ჩვენს ბენეფიციარებს კვლავ იწვევდნენ სპექტაკლებსა და კონცერტებზე; იღებდნენ სერიალებსა და ფილმებში.

სამლოცველოში

„კათარზისის“ სამლოცველოში ჩვენი ბენეფიციარებისათვის ორ კვირაში ერთხელ ტარდება ლოცვა, რომელსაც უძღვებიან: მამა დავითი (გელა თავაძე) და მამა ლევანი (ლევან ალადაშვილი). აღსანიშნავია, რომ სანთელს სუფთა ცვილისაგან ჩვენი ორგანიზაციის სასანთლეში ვამზადებთ.

ინტერნეტ კაფე

ამ სამსახურს თავისი მუდმივი მომხმარებელი ჰყავს. გარდა ამისა, ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტ-სივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით და ა.შ. ამ სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც გარდა სწავლებისა, პრაქტიკულადაც ეხმარება ხანდაზმულებს და თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებს. ამ და ბევრი სხვა მისიის შესრულებაში ძირითადად ვეყრდნობით ალტერნატიული ჯარისკაცების შრომას.

რელაქსაციის ოთახი

ეს არის ადგილი უდიდესი, ულამაზესი გალიით, სადაც ამადინების (ფრინველის სახელწოდება) რაოდენობა დღეისთვის 80-ს გადაცდა (თავდაპირველად 20 იყო). მათი ჟღურტული სიმშვიდისა და განტვირთვისათვის საუკეთესო გარემოს ქმნის. აქ ხშირად ნახავთ სავარძელში მიძინებულ მოხუცს.

ასოციაციის პრეზიდენტი
ზაურ ალადაშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სჰკ „კათარზისი“-ს პრეზიდენტს
ბატონ ზაურ ალადაშვილს (ლაზარე)

ჩვენ ჩავატარეთ სჰკ „კათარზისი“-ს 2016 წლის 31 დეკემბრის თანდართული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების (ბალანსი), ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლის ანგარიშგების (მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების და საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ასევე შენიშვნების, რომელიც მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების აუდიტი (ერთად “ფინანსური ანგარიშგება”).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, რომლებიც ეხება ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის საჭირო შიდა კონტროლის სისტემის შექმნას და გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული არსებითი შეცდომის გამოვლენა ან პრევენცია, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას, სააღრიცხვო შეფასებების გონივრულ გამოყენებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმენა იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი, სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო დასაბუთებული საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სჰკ “კათარზისი”-ს ფინანსურ მდგონარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და შეესაბამება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

დირექტორ-აუდიტორი **მ. უჯმაჯურიძე**
თბილისი. 1 მარტი 2017 წ.

სჰკ „კათარზისი” მოგება და ზარალის ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
/თანხები მოცემულია ლარებში/

შემოწირულობა	886 148
ამონაგები	58 841
საერთო შემოსავალი	944 989
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	345 246
საქველმოქმედო ხარჯები	352 108
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	54 128
სპონსორების მოზიდვის ხარჯები	152 641
სატრანსპორტო და საწვავის ხარჯი	11 936
სამეურნეო ხარჯი	31 471
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	50 913
რემონტის ხარჯი	4 954
სხვა მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	19 034
სხვა ხარჯები	10 170
საერთო ხარჯი	1 032 601
მოგება დაბეგვრამდე	(87 612)
საგადასახადო ხარჯი	8 387
მოგება დაბეგვრის შემდეგ	(95 999)
წმინდა მოგება	(95 999)

®

კონტროლიორების კონტროლიორები და ორმაგად დატვერორებული მგზავრები

...ავტობუსში ასაკოვანი ქალბატონი ბარგით ავიდა. თავისუფალი ადგილი დაინახა და დაჯდა, რადგან ფეხზე დგომა ნამდვილად გაუჭირდებოდა. ამასობაში ავტობუსი დაიძრა. ახალამოსულმა ქალბატონმა სამგზავრო ბარათი ამოიღო და კონტროლიორისთვის უნდა ეთხოვა ბილეთის აღება. ავტობუსში, თურმე ლურჯქურთუკიანი კონტროლიორი ქალბატონები იმყოფებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ბარათი ჩამოართვა და ქალბატონს განუცხადა: „თქვენ უბილეთოდ მგზავრობთ და უნდა დაგაჯარიმოთო“. „კი, მაგრამ, ხომ ვიღებ ბილეთსო“, — გაუკვირდა მგზავრს. „არა, როგორც კი ამოხვედით, მაშინვე უნდა შეგეძინათ ბილეთიო“, — უპასუხეს კონტროლიორებმა. დიალოგი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან შემდეგ გაჩერებაზე ჩაიყვანეს დ ხუთლარიანი ჯარიმაც გამოუწერეს.

ადვილი შესაძლებელია, მავანს ეს ისტორია ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი ეგონოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენები ჩემს თვალწინ განვითარდა. სხვა მგზავრებმაც გამოთქვეს უკმაყოფილება მომხდარით, მაგრამ ავტობუსის კონტროლიორმა თავისი კოლეგების მხარე დაიჭირა და გვითხრა: „აგერ, ბატონო, განცხადებაა გამოკრული, სადაც წერია, რომ მგზავრმა ბილეთი ავტობუსში ამოსვლისთანავე უნდა შეიძინოსო“.

არავის ადვოკატირებას არ ვაპირებთ და არც იმის მომხრეები ვართ, რომ მოსახლეობამ საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთოდ იმგზავროს. თუმცა ხშირად ავტობუსებში იმდენი ხალხია, უცებ ბილეთის აღება შეუძლებელია. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მგზავრთა ასაკი. როგორ შეიძლება, მოხუც ადამიანს, რომელსაც სიარულიც კი უჭირს, ბილეთის აღება უმალ მოსთხოვოს ნორმალურმა ადამიანმა.

ავტობუსებში კონტროლიორებს მწვანე ქურთუკები აცვიათ. ლურჯქურთუკიანები, ძირითადად, გაჩერებებზე არიან, ზოგჯერ ავტობუსებშიც ადიან და მგზავრებს ბილეთებსაც უმოწმებენ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ავტობუსში გამყოლი კონტროლიორი. არსებობს კიდევ გენერალური ინსპექცია, რომელიც ორივე სახის თანამშრომლებს აკონტროლებს.

ახლა ვნახოთ, რა განსხვავებაა „მწვანე“, ანუ ავტობუსის გამყოლ და „ლურჯ“ კონტროლიორებს შორის. გამყოლები, მათივე თქმით, 12-16 საათს მუშაობენ, ხოლო ლურჯფორმიანებს 7-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ. ხელფასშიც სოლიდური სხვაობაა, თითქმის 200 ლარით მეტს იღებენ ლურჯფორმიანები. ერთ-ერთმა გამყოლმა კონტროლიორმა შინაურულად მითხრა, რომ თუ ლურჯფორმიანები უბილეთო მგზავრს 5 ლარით აჯარიმებენ, ჩვენ

შეიძლება მინიმუმ 100 ლარით დაგვაჯარიმონო.

უბილეთო მგზავრის დაჯარიმების უფლება მხოლოდ ლურჯფორმიან კონტროლიორს აქვს. თუმცა აქვე გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ უბილეთო მგზავრები, ფაქტობრივად, აღარ გვხვდება. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ, ალბათ, როგორმე რომ გაამართლონ თავიანთი სამსახურის არსებობა, ეს ლურჯფორმიანები ყოველნაირად ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დააჯარიმონ. არის შემთხვევები, როდესაც ავტობუსიდან ჩასულ მოქალაქეს 20-30 მეტრის გავლის შემდეგ მისდევენ და ბილეთს სთხოვენ.

სისტემა, რომელზეც ვსაუბრობთ, ნაცხროვის დანატოვარი მემკვიდრეობაა. უნდა ვაღიაროთ, რომ მათ სხვა მიზნები ჰქონდათ. სამუშაო ადგილები შევქმენითო, ტრაბახობდნენ ავტობუსებში დანიშნული კონტროლიორებით.

სამაგიეროდ, კონტროლიორებს, განსაკუთრებით ლურჯქურთუკიანებს, ავალდებულებდნენ, მისულიყვნენ ნაცბანდის მხარდასაჭერ ღონისძიებებზე. დაკვირვებულ ხალხს ემახსოვრება, რომ, როდესაც ნაცხროვა თუ რომელიმე აქციას აწყობდა, ქალაქში ერთ ლურჯფორმიან კონტროლიორს ვერ ნახავდით. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ნაცხროვა ქვეყნის ბიუჯეტიდან გასცემდა თანხებს, რისთვისაც ფულის მიმღებს სხვა ბინძური საქმეც უნდა ეკეთებინა.

ლურჯქურთუკიანების, ავტობუსების გამყოლ კონტროლიორებს კი არა, მძღოლებსაც ეშინოდათ. მათი წყალობით, ბევრმა ჯარიმები გადაიხადა, ზოგმაც საერთოდ დაკარგა სამსახური — ასეთი მახინჯი სისტემა, ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდე მუშაობს.

არახალია, რომ ავტობუსის გამყოლი კონტროლიორები 12-16 საათს მუშაობენ. ადამიანისთვის ეს უმძიმესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვაა, თუნდაც უნაკლო ჯანმრთელობის იყოს. უწყებაში კონტროლიორის კონტროლის ყოლას ხომ არ ჯობდა ერთი სრულფასოვანი თანამშრომლის ყოლა? ვიმეორებთ, ლურჯფორმიან კონტროლიორებს 7-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ. ეგებ ეს ხალხი, რომლებიც მხოლოდ ქუჩაში არიან და ხალხის დაჯარიმებაზე ოცნებობენ, ესენიც გადანაწილებულიყვნენ ავტობუსებში. ორცვლიანი სამუშაო გრაფიკის შემთხვევაში აღარ მოუწევდათ ქანცგამწყვეტი საქმიანობა. კი, ბატონო, ჰქონდეთ დაჯარიმების უფლება, რომლის გაკეთებაც ავტობუსშიც შესაძლებელია. თუმცა საეჭვოა, ამის საჭიროება ხშირად ჰქონდეთ.

ალბათ, უკვე დროა, თავი დავაღწიოთ გადმონაშთ მახინჯ ფორმებს, რომელიც არც ხალხს არგია და არც ქვეყანას. ნაცხროვის დანატოვარი, რასაც ასე გვაყვედრიან, არც ავტობუსები ვარგა და არც მაკონტროლებელი სისტემა. ახლაც თვალწინ მიდგას აცრემლებული ქალი, რომლისთვისაც ის 5 ლარი, ალბათ, ბევრს ნიშნავდა.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— **რას ნიშნავს სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება?**

თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 175. სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება

1. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.

3. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

* * *

— **სამეზობლო სამართლის მიხედვით, შემიძლია თუ არა, მოვითხოვო კომლენსაცია თმენის ვალდებულებისათვის?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 179. ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის

1. თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა.

2. საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი.

* * *

— **ვისი საკუთრებაა ნაპოვნი განძი?**

— სამოქალაქო კოდესის 192-ე მუხლის მიხედვით, თუ აღმოჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა (განძი), მაშინ საკუთრება სანახევროდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი.

* * *

— **როგორია საჯარო მოსამსახურის გამოსაცდელი ვადა?**

— არაუმეტეს 6 თვისა.

* * *

— **რა მიეკუთვნება უძრავ ნივთებს?**

— უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით,მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

* * *

— **რა არის ოფერტი და აქცეპტი?**

— ოფერტი არის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება, ხოლო აქცეპტი ამ შეთავაზებული წინადადების შესახებ თანხმობა.

* * *

— შემიძლია თუ არა, ჩემი ქონება ანდერძით დავუტოვო არა ჩემს შვილებს, არამედ ქალბატონს, რომელიც ჩემი მომვლელია?

— რა თქმა უნდა შეგიძლიათ. ასეთ შემთხვევაში თქვენი შვილები, რომლებიც არიან თქვენი კანონისმიერი 1-ლი რიგის მემკვიდრეები, წარმოეშობათ სავალდებულო წილის მიღების უფლება, რაც ნიშნავს შემდეგს: ისინი მიიღებენ თქვენი სამკვიდრო ქონებიდან ნაზევარს იმ წილიდან, რომელიც უნდა მიეღოთ, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეებს, რომ არ ყოფილიყო ანდერძი.

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 სააათის განმავლობაში

როგორ შეიქმნა სკოტლანდ-იარდი

პირველმა ლონდონელმა პოლიციელებმა შენობათა იმ კომპლექსში დაიდეს ბინა, სადაც ადრე ინგლისის მეფის კარზე ჩამოსული შოტლანდიელი მეფეები ჩერდებოდნენ ხოლმე. სწორედ აქედან მომდინარეობს ინგლისის კრიმინალური პოლიციის სახელიც – სკოტლენდ-იარდი.

ლონდონი – დამნაშვეთა სამყაროს დედაქალაქი

საოცარია, მაგრამ XIX ს-ის პირველ მესამედამდე ლონდონს, იმ პერიოდისთვის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპერიის ცენტრს, საკუთარი პოლიცია არ ჰყავდა.

იმ დროისთვის მსოფლიოს თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში უკვე იყვნენ კანონის დამცველები, ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლები კი მხოლოდ დაქირავებული კერძო დეტექტივების სამსახურით სარგებლობდნენ და ქალაქი დანაშაულში „ჩაიძირა“.

ამგვარი სიტუაცია თავად ლონდონელების გამო შეიქმნა. ბრიტანეთის საზოგადოება გულწრფელად მიიჩნევდა, რომ პოლიციის არსებობა მოქალაქეთა უფლებების უხეში დარღვევა იყო. ამის შედეგად, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო საკუთარ თავზე აეღო სახალხო მოსამართლის, მაძებრის ან დამსმენის როლი, რასაც ბევრი აკეთებდა კიდეც.

ამასთან, ბევრი სახალხო მოსამართლე მდგომარეობას საკუთარი გამდიდრებისთვის იყენებდა. დამსმენები კი, იმის გამო, რომ ქურდის დაჭერასა და დასჯაში გადახდილი ჯარიმიდან ფულად ჯილდოს იღებდნენ, მკვლელობის გახსნისთვის კი პრემიას, თვითონვე უბიძგებდნენ სუსტი ნებისყოფის ადამიანებს დანაშაულის ჩადენისკენ, მერე კი მოსამართლესთან მიათრევდნენ.

ციხეები იმ დროში გამანაწილებელი პუნქტი უფრო იყო „ამ“ და „იმ“ სამყაროებს შორის, რადგან სასჯელის ზომა, ხშირ შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა იყო.

სისხლიანი „დეტექტივი“

ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ დეტექტივს ჯონათან ვილდი ერქვა. იგი საკუთარ თავს საიდუმლო მაძებარს, დიადი ბრიტანეთისა და ირლანდიის გენერალს უწოდებდა, სინამდვილეში კი არაორდინარული დამნაშავე იყო, რომელიც სახრჩობელაზე გზავნიდა ყველას, ვინც მას არ ემორჩილებოდა.

ამ გზით ვილდმა ასზე მეტი ქურდი გაანადგურა, დააგროვა დიდძალი ქონება და შექმნა რაღაც ერთობა, რისთვისაც ნაკლებად შეიძლებოდა პოლიცია გეწოდებინა და რომელიც ამერიკულ განგსტერულ კლანებს მოგაგონებდა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ჯონათან ვილდი 1725 წელს ძარცვისთვის თავადაც ჩამოახრჩვეს.

ამ ამბებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ ლონდონში გამოჩნდა ერთი პატიოსანი მოსამართლე, რომელიც მთელი სერიოზულობით დადგა კანონის სადარაჯოზე. ეს გახლდათ მწერალი ჰენრი ფილდინგი. ვესტმინსტერის სახალხო მოსამართლედ ყოფნისას იგი ხედავდა, როგორ წალეკა ბრიტანეთი დანაშაულებებმა და მიზნად დაისახა დანაშაულისა და დამნასავეებისგან ქვეყნის დაცვა. მან მოახერხა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დოტაციის მიღება ლონდონის პოლიციის შესაქმნელად.

პირველი პოლიციელები ფილდინგის თანაშემწეები იყვნენ, ახლა ისინი სახელმწიფოსგან რეგულარულად იღებდნენ ხელფასს — კვირაში ერთ გინეას. უბრალო მოქალაქეებისგან წითელი ჟილეტებით გამოარჩევდით. მათ ბევრი სამუშაო ჰქონდათ. ისინი ბორდელებსაც სტუმრობდნენ, ხვდებოდნენ დამსმენებს, რომლებსაც ფულს უხდიდნენ, მოთმინებით უთვალთვალებდნენ დამნაშავეებს. რადგან ფილდინგის სასამართლო ბოუ-სტრიტზე მდებარეობდა, მათ ბოუ-სტრიტ-რანერები უწოდეს.

ბევრი პოლიციელი უკადრის საქციელსაც სჩადიოდა — სასამართლოს წინაშე უდანაშაულო ადამიანებსაც წარადგენდგენ ხოლმე თუკი დამნაშავე, გარიგების შედეგად, დიდ ფულს გადაუხდიდა მათ. თავად ფილდინგი უპატიოსნო პოლიციელებს სამსახურიდან ათავისუფლებდა და ცდილობდა, ნამდვილი კრიმინალური პოლიცია შეექმნა: გააკეთა დამნაშავეთა კარტოთეკა, მიმოწერას აწარმოებდა სხვა სახალხო მოსამართლეებთან, ინგლისის გაზეთებში აქვეყნებდა იმ დამნაშავეების სიებსა და გარეგნულ აღწერილობებს, რომლებიც იძებნებოდნენ.

როდესაც 1754 წელს ჰენრი ფილდინგი გარდაიცვალა, პოლიციის შეფი მისი ნახევარძმა ჯონი გახდა. მან შექმნა შეიარაღებული ქუჩის პატრული და ცხენოსანი პოლიცია, რომლებსაც გზებზე უნდა მოეხდინათ პატრულირება. რადგან დაფინანსება არ ჰქონდათ, საცხენოსნო პოლიციამ დიდხანს ვერ იარსება. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ჯონ ფილდინგი ბრმა გახლდათ. არსებობს ლეგენდები, რომელთა თანახმადაც, სიცოცხლის ბოლოსთვის მას შეეძლო სამი ათასი დამნაშავის ამოცნობა მხოლოდ მათი ხმის ტემბრით!

„ბობი“ ქუჩებში

ქუჩის პოლიციამ თითქმის ასი წელი იარსება და ამ ხნის განმავლობაში პოლიციელები იყვნენ ლონდონის ერთადერთი კრიმინალისტები, თუმცა, მათი რაოდენობა ათ-თხუთმეტ ადამიანს არ აღემატებოდა. ეს ძალიან ცოტა იყო ისეთი დიდი ქალაქისთვის, სადაც დაახლოებით ოცდაათი ათასი ნაძირალა მაინც ცხოვრობდა და ძარცვავდა და აყაჩაღებდა ხალხს.

1828 წლისთვის ლონდონში არსებობდა ისეთი რაიონები, სადაც დღისითაც კი სჩადიოდნენ დანაშაულს — ქურდავდნენ, ძარცვავდნენ. სიტუაცია იმდენად სერიოზული იყო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტ პოლმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა პოლიციის შექმნა. ამის გამო მას პარლამენტში უსასტიკესი ბრძოლის გადატანა მოუხდა.

1829 წლის 7 დეკემბერს ათასმა პოლიციელმა, რომლებსაც შავი ცილინდრები ეხურათ, საკუთარი უბნისკენ გასწია. ცილინდრი იმის სიმბოლო იყო, რომ ლონდონელების უფლებები შელახული არ იყო და მათი დაცვა არა ჯარისკაცებმა, არამედ ჩვეულებრივმა თანამოქალაქეებმა აიღეს საკუთარ თავზე. პოლიციელებს ზედმეტ სახელებად უწოდეს „პილერი“, „კოპერი“ და „ბობი“ — პოლიციის უბნების პირველი ხელმძღვანელების სახელები.

„მე დეტექტივი ვარ“

თავიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველაფერი კარგად იყო. პოლიციამ ქალაქში წესრიგის უზრუნველყოფა დაიწყო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანდა ასე. გასაგებია, რომ არც ერთი ქურდი მოსაპარად არ გამოვა კანონის დამცველის დასანხად, მაგრამ ღამის ცხოვრება უსაფრთხო სულაც არ გამხდარა, პირიქით — მძარცველები და ბანდები უფრო გააქტიურდნენ, დანაშაულის რაოდენობამ იმატა და ისინი უფრო დახვეწილი გახდა, პოლიციელებს კი არც გამოცდილება ჰქონდათ და არც დრო იმისათვის, რომ უკვე ჩადენილი დანაშაულებები გამოეძიებინათ, ისინი მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულის თავიდან აცილებას ახერხებდნენ.

სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ბრძოლა თავადაც კორუფციაში ჩაფლულ ქუჩის პოლიციელებს — ბოუ-სტრიტ-რანერებს შეეძლოთ მხოლოდ. ლონდონში რამდენიმე განსაკუთრებით სასტიკი მკვლელობა მოხდა, რის შემდეგაც, 1842 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: პოლიციელთა ერთმა ნაწილმა სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვა და დაიწყო უკვე ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება. კანონიერების ამ დამცველებმა სამი პატარა შენობა დაიკავეს სკოტლანდ-იარდზე.

მწერალმა ჩარლზ დიკენსმა უკვდავჰყო პირველი ბრიტანელი დეტექტივების მოღვაწეობა 1850 წელს, როცა კრიმინალური რომანი „ცივი სახლი“ დაწერა. რომანის მთავარი გმირის, სკოტლანდ-იარდის დეტექტივის, ინსპექტორ ბაკეტის პროტოტიპი ინსპექტორი ფილდი გახლდათ. ინგლისურ ლიტერატურაში პირველად რომანის გმირმა ასე წარადგინა საკუთარი თავი: „მე ვარ ბაკეტი, დეტექტივი, დეტექტივი-პოლიციელი, მზვერავი, გამომძიებელი“.

სწორედ ამის შემდეგ გავცელდა სიტყვა „დეტექტივი“ მთელ მსოფლიოში...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

სახალხო მკურნალი
(მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com